პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე 6 რდ. კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 28 ოთხშაბათი, 7 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 28

დღიური

რურის ოლქში გრძელდება შეტაკებები მცხოვრებლებსა და საფრანგეთის ჯარების შორის.

ოკუპაციის რაიონი თანდათან ფართოვდება.

ბალკანეთის ზოგიერთი ხახელმწიფოებმა განუცხადეს ჩიჩერინს თავისი სოლიდარობის შესახებ რუსეთთან.

8 თებერვალს ლოზანის კონფერენციის სხდომაზე ოსმალებმა უარი განაცხადეს საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერაზე. გრძელდება მოლაპარაკება.

მთელ მსოფლიოს პროლეტარებს, მშრომელებს და ჩაგრულ ხალხებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, მთელი მსოფლიოს მშრომლებო და იმპერიალიზმით დაჩაგრულო აღმოსავლეთის ხალხებო, შეერთდით!

თქვენ გემუქრებათ უდიდესი საშიშროება... ახალ სისხლისმღვრელ ბოროტებას სჩადიან საფრანგეთის იმპერიალისტები. იმპერიალისტური ომის გამომწვევნი, იმ ომის, რომლისაგანაც დღემდის კვნესის კაცობრიობა, ააშკარავებენ ბურჟუაზიულ თვალთმაქცობას და ადამიანის მძულვარების მთელ თავის ბუნებას.

იმპერიალისტური ომით, გალატაკებული, განადგურებული, გერმანიის მშრომელი ხალხი, პროლეტარები და ღარიბი გლეხები, ხელახლა განიცდიან ბარბაროს-მჩაგვრელთა შემოსევის საშინელებას. რამდენიმე ასი ათასი ფრანგი-სალდათი გადაყვანილია გერმანიის ტერიტორიაზე: იმათ დაიკავეს რურის სამრეწველო ოლქი. გერმანიის სამრეწველო წარმოებებს კონფისკაციას უშვრებიან, ურჩ მცხოვრებთ ასახლებენ, მუშებს ხვრეტენ...

ომის გამოუცხადებლად, ბ-ნ პუანკარეს და ფოშის საფრანგეთი მევახშე-ბანკირების წინადადებით, აწარმოებს ნამდვილ ომს გერმანიის მშრომელ ხალხის წინააღმდეგ...

ამიერიდან ყველა მშრომელთ მიეცათ კიდევ ერთი შემთხვევა დარწმუნდენ იმაში, რომ იმპერიალისტებისათვის, თავის გაუმაძღარი მადის დასაკმაყოფილებლად, თავის და სხვის მუშების და გლეხების დასაჩაგრავად, არავითარი შეკავება არ არსებობს, გარდა რევოლიუციისა.

მთელი მსოფლიოს მშრომელებმა, ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა თავის ზურგზე განიცადეს იმპერიალისტების შემოსევის მთელი საშინელება.

ამიერ-კავკასიის იმპერიალისტური ოკუპაციის წლებმა, 1918—1919 წლ. ღრმა იარები დასტოვეს ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხების ცოცხალ სხეულზე, რა თქმა უნდა სხვა და სხვა სოციალისტ-გამცემლების,—დაშნაკელების, მუსავატელების და უმთავრესად ქართველი მენშევიკების დახმარებით.

ამიერ-კავკასიის საუკეთესო მებრძოლების შეურაცხყოფა, დამცირება, დახვრეტა, როგორც მაგ. ბაქოს 26 კომუნარისა ეკონომიური, დაშლა, შიმშილი და თან და თანობითი გადაშენება,—ოკუპაციის ყველა ეს „საშინელებანი" განვიცადეთ ჩვენ. ამიტომ ჩვენ ნათლად გვაქვს წარმოდგენილი ყველა ის აზრები, რომლისათვისაც განმზადილია გერმანიის მუშები და გლეხები, ოკუპაციის გამო. ჩვენში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამიერ-კავკასიის მუშებმა და გლეხებმა მიიღეს ნამდვილი დამოუკიდებლობა, სავსებით განახორციელეს თვითგამორკვევის უფლება და დღეს წარმოადგენენ ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. ფედერ. რესპუბლიკის ერთიან მძლავრ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს საბჭოთა სოც. რესპუბლიკების ძმურ კავშირში, რუსეთის საბჭ. სოც. ფედერატიულ რესპუბლიკის მეთაურობით. განთავისუფლდენ რა იმპერიალიზმის უღლისაგან, ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხები მთელი მსოფლიოს წინაშე ხმა მაღლა პროტესტს აცხადებენ იმ ბოროტ-მოქმედებათა წინააღმდეგ, რომელსაც სჩადის საფრანგეთის მევახშე—იმპერიალისტური მთავრობა.

ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად უცქიროთ, თუ როგორ ეჭირება იმპერიალისტური მუხრუჭი გერმანიის მშრომელ ხალხს და მათთან ერთად ჩვენ თანამოძმე—ფრანგ მუშებს და გლეხებს... ამგვარად ანტანტას იმპერიალიზმს, აძლიერებს რა იგი ყველგან ფაშიზმს, სურს შავი რეაქციით დაფაროს მთელი ევროპა და ხელი შეუშალოს საერთაშორისო პროლეტარიატს თავის დროზე მოახდინოს მსოფლიო რევოლიუცია, რომელსაც მიჰყავს იგი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის დიდ საბჭოთა ფედერაციისაკენ...

მთელი მსოფლიოს მშრომელნო, მუშებო და მუშა-ქალებო, აღმოსავლეთის ჩაგრულო ხალხო,—საფრანგეთის ბანკირთა და მევახშეთა ჯგუფი იმუქრება ხელახლა წაუკიდოს ევროპას ახალი იმპერიალისტური ომის ცეცხლი. და ამ მიმართულებით ხელს კი არ უშლიან, არამედ დახმარებას უწევენ მათ ანტანტის დანარჩენ სახელმწიფოების მთავრობები. გეგმა-შეწონილად ტარდება ცხოვრებაში შეთქმულება ევროპის მშრომელთა, მსოფლიოს აუცილებელ გასაბჭოების და მსოფლიო რევოლიუციის წინააღმდეგ.

ამ კრიტიკულ მომენტში, ამიერ-კავკასიის თავისუფალ მუშების და გლეხების სახელით მოგმართავთ თქვენ, მთელი მსოფლიოს მუშებო და მუშა-ქალებო, და მოგიწოდებთ: **მრისხანე ყიჟინით შეაჩეროთ გონება დაკარგული ცეცხლის წამკიდებელთა შაიკა...**

საბჭოთა ხელისუფლება არა ერთხელ მოუწოდებდა ბურჟუაზიულ მთავრობებს განიარაღებისაკენ. და ეხლა იგი ამაღლებს თავის მძლავრ ხმას ჩაგრულ ხალხთა, მუშების და გლეხების დასაცავად, იგი ხელახლა სცემს ყიჟინას და გაიძახის: **„განიარაღება და მთელი მსოფლიოს ხალხთა ნამდვილი თვითგამორკვევის უფლების დაცვა"...** მაგრამ რა თქმა უნდა, იმპერიალისტური მთავრობებს არ ესმით ეს მოწოდება. მით უარესი მათთვის. გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის, მთელი მსოფლიოს მუშები და გლეხები, კომპარტიების, და მათი გაერთიანების მსოფლიო რევოლიუციის დიდი შტაბის—**კომინტერნის და წითელი პროფინტერნის** ხელმძღვანელობით, წამოიყვანენ მშრომელ მასებს, ერთიანი ფრონტით, უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლებში და წაუგდებენ ყველა თავის ძველ და ახალ წინამძღოლებს, სოციალ-გამცემლებს, როგორც მაგ. ბ-ნ ებერტს, შეიდემანს, ვანდერვალდეს, გენდერსონს და მათ მსგავს მენშევიკებს—რევოლიუციის და ხალხის მოღალატეებს... და შეურყეველი ფრონტი მძლავრი მუშტით ჩამოაგდებს გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და ამერიკის იმპერიალისტებს, ყველა მათი სტინესებით და პარიზის ბანკის—მევახშეებით და ინგლის-ამერიკელ-იაპონიის მილიარდერებით....

საერთაშორისო პროლეტარიატის ამ გზით, **კომინტერნის** მეთაურობით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, დღეს წავლენ აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხები, ინდუსები, ოსმალოები და სპარსელები საერთო მტრის წინააღმდეგ, რომელიც კოშმარული გახდა, განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის შემდეგ და იმპერიალიზმ-კაპიტალიზმის დროს... ისინი უსმენენ, როგორც დღემდის, მსოფლიო რევოლიუციის დიდი შტაბის—**მესამე ინტერნაციონალის,—კომინტერნის და წითელი პროფინტერნის** ხმას და მოწოდებას...

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ერთიან ფრონტს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

ძირს საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის და ყველა სხვა იმპერიალისტებს!

ძირს სისხლისმსმელი იმპერიალისტები გერმანიის სტინესები, პარიზის მევახშეები და ინგლის-ამერიკა-იაპონიის მილიარდერები!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

სალამი რურის მებრძოლთ, მუშებს და გლეხებს,—გერმანიის და საფრანგეთის მებრძოლთ!

ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტის მდივანი
მ. ტალიგლი.

25 თებერვლის დღესასწაულისათვის

ძვ. ამხანაგებო!

მიმდინარე წლის 25 თებერვალს სრულდება 2 წელი დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა საქართველოში; ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში მუშები და გლეხები განთავისუფლდენ მენშევიკების სამარცხვინო ბატონობისაგან. განთავისუფლდენ იმ ძარცვა-გლეჯისაგან, რომელსაც აწარმოებდენ მენშევიკური მთავრობის აგენტები, განთავისუფლდენ ერთა შორის წარმოებული სისხლის-მღვრელი ომებისაგან.

თავის ბატონობის მთელი ხნის განმავლობაში მენშევიკები კლასიური სოლიდარობის ნაცვლად შურს და მტრობას სთესდენ ამიერ-კავკასიის და რუსეთის მუშებ შორის.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა სურვილით და თავგანწირული ბრძოლით დაარსდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც საბჭოთა რუსეთსა, უკრაინასა და ბელორუსიასთან ერთად შექმნეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. დღე თავიანთ განთავისუფლებისა და საბჭოთა დიდ ფედერაციაში შესვლისა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა უნდა აღნიშნონ, როგორც ერთი უმნიშვნელოვანესი დღეთაგანი რევოლიუციონურ მოძრაობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში.

სრულიად საქართველოს პირველმა საბჭოთა ყრილობამ დაადგინა: „25 თებერვალი" ჩაითვალოს საქართველოს განთავისუფლების დღეთ მენშევიკთა ბატონობისაგან და იდღესასწაულოს იგი მთელ საქართველოში დიდი ზეიმით.

ამიტომ საქართველოს საგიტ-საპროპ. განყოფილება წინადადებას გაძლევთ: „25 თებერვალს" დღესასწაულს მისცეთ განსაკუთრებული საზეიმო და არაჩვეულებრივი ხასიათი.

დღესასწაულის ჩასატარებლათ, ამ ცირკულიარის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ შეადგინეთ კომისიები დაინტერესებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

მახლობელი პარტიული დღე შესწირეთ ამ საკითხის გარკვევა-გაშუქებას.

24 თებერვალს, მუშაობის გათავების შემდეგ მოაწყვეთ ფაბრიკებსა, წარმოებებსა და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებები, რომლებზედაც დაწვრილებით უნდა გააშუქოთ „25 თებერვლის" მნიშვნელობა.

25 თებერვალს დღისით მოაწყვეთ საზეიმო პროცესია წითელ არმიელებთან ერთად ქალაქები და დაბები, სადაც შესაძლებელია სოფლებიც, შესაფერისად მორთეთ და მოკაზმეთ.

ყველა თემებში და სოფლებში მოაწყვეთ მიტინგები და ფართოთ განუმარტეთ მასას ამ დღის მნიშვნელობა. საღამოს გამართულ თეატრებში და კლუბებში უფასო გასართობები.

მოაწყვეთ მოგონებათა საღამოები მენშევიკებთა წინააღმდეგ რევოლიუციურ ბრძოლაში მონაწილეობის მიმღებ ამხანაგებისა.

მოაწყვეთ გამოფენა სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიურ მიღწევათა ამ ორი წლის განმავლობაში.

ყველა წიგნთ-საცავებმა, სამკითხველოებმა და სახალხო სახლებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმუმი ენერგიისა, რათა ეს დღე პოპულიარული გახადონ მშრომელ მასაში.

ფართოდ გააშუქეთ ეს საკითხი პრესაში, მოათავსეთ წერილები საბჭოთა ხელისუფლების მოქმედების შესახებ სხვა და სხვა დარგში.

საჭიროა გაზეთებში მოთავსებულ იქნეს მენშევიკებთან რევოლიუციურ ბრძოლაში მონაწილეთა მოგონებანი.

ამ დღის აღსანიშნავათ და პოპულიარიზაციისათვის საჭიროა გახსნილ იქნეს სამკითხველოები, კლუბები და სხვა კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებანი. ამ დღესასწაულის ჩასატარებლათ საჭირო ხარჯის გაღება ევალება სათანადო სამაზრო და თემის აღმასკომს.

ს. კ. პ. ც. კ-ის მდივანი: **მ. კახიანი.**

ც. კ. საგიტ. საპროპ. განყ. გამგის მოად. **ა. კვირიკაძე.**

საერთაშორისო მდგომარეობა

საერთაშორისო მდგომარეობა დღითი-დღე უფრო იწეწება და რთულდება.

მთელი ევროპა წარმოადგენს ასაფეთქებელ ნივთიერებით გატენილ საწყობს, რომელშიც აქ იქ მსოფლიოს ცეცხლის-წამკიდებელი, მცარცველი იმპერიალისტები ისვრიან ნაპერწკლებს კაცობრიობის გადასაბუგად.

რურის ოლქში საფრანგეთის მიერ გაჩაღებული კოცონი ფართოვდება. ოკუპანტები აძლიერებენ რეპრესიებს და ახალ-ახალ ადგილებს იკავებენ. მიუხედავად ამისა, მათ ვერ შესძლეს გერმანიის მუშათა კლასის წინააღმდეგობის გატეხა. პირიქით, გერმანიის მშრომელი მასსა, და არა მარტო გერმანიის, ემზადება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მოძალადეების წინააღმდეგ.

ბალკანეთში და ჰუნგრეთში, საერთოდ მცირე ანტანტაში ხდება ძალთა გადაჯგუფება, აქ თავი წამოყვეს ყველა შავ ძალებმა, მოძრაობაში მოვიდნენ ბნელი ინსტინქტები და ვნებათა ღელვანი. იგრძნეს სუნი სისხლის, რომელსაც ასე არიან მოწყურებულნი.

უფრო საყურადღებო ამბები ხდება ახლო აღმოსავლეთში.

ლოზანის კონფერენცია, რომელიც უკვე ორი თვეა ტკეპნის ერთ და იმავე ადგილს, სამარცხვინოდ დაიშალა, ისე, რომ ვერ გადასჭრა ვერც ერთი სადავო საკითხი. აქ შეწყვეტილი ზარბაზნების გრიალი და ხოცვა ჟლეტა მოსალოდნელია ისევ განახლდეს. გაცილებით უფრო ფართე მასშტაბით, როგორც ომის ასპარეზის სიფართოვის, ისე მასში მონაწილეთა სიმრავლის მხრივ.

უკანასკნელი ცნობებით, ოსმალეთის დელეგაციამ გადაჭრით უარყო მოკავშირეთა ხელშეკრულების საბოლოო პროექტი.

ინგლის-საფრანგეთის შორის არსებულ წინააღმდეგობამ უკიდურესობამდე მიაღწია. მათ ვერ მოახერხეს შეთანხმება ნადავლად მიჩნეულის გაყოფაში. მათი ერთიანი ფრონტიდან მხოლოდ მოგონებაღა დარჩა. იყო ცნობა, რომ საფრანგეთი აწარმოებს სეპარატიულ მოლაპარაკებას ოსმალეთთან. მაგრამ ცხადია, რომ საბოლოო ანგარიშით საფრანგეთის განზრახვასაც, როგორც ინგლისისაც, შეადგენს ოსმალეთის დამონავება, რაც ამ უკანასკნელმა მშვენივრად იცის, და საეჭვოა მათ შორის საერთო ენის გამონახვა. საბჭოთა ფედერაციის დელეგატი ისევ ურყევლად დგას თავის პოზიციაზე და კვლავ აცხადებს, რომ ინგლისის პროექტი სრუტეების და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის საკითხების მოსაგვარებლად მიმართულია საბჭოთა რესპუბლიკების სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ და მათთვის სრულიად მიუღებელია; ამასთან დელეგაცია აცხადებს, რომ ის იტოვებს მოქმედების თავისუფლებას.

ლოზანის კონფერენციის ორი თვის მუშაობის შემდეგ მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში უფრო დაიხლართა, აქაც ვდგევართ ომის უშუალო საშიშროების წინაშე. ინგლისი კიდეც ემზადება ამისათვის. მან გამოგზავნა სტამბოლისაკენ დიდძალი სამხედრო ფლოტი, ის ახდენს თავის საზღვაო ძლიერების დემონსტრაციას.

სად არის გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიც კაცობრიობა მოამწყვდია ბურჟუაზიულ ქვეყნიერების მესვეურ შაიკის განუკითხავმა თარეშმა? ვინ არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია ხალხთა გადარჩენა 1914 წლის განმეორებიდან, გაუგონარ სისხლის ღვრისაგან?

ეს გამოსავალია მსოფლიო რევოლიუცია, ეს ძალაა რევოლიუციონური პროლეტარიატი, რომელიც თავს იყრის კომინტერნის და პროფინტერნის გარშემო.

ბურჟუაზიას არ ძალუძს მის მიერვე შეკრულ კვანძის გახსნა. ამას ვერ მოიმოქმედებს ვერც მისი მაჩანჩალა—ყვითელი ინტერნაციონალების ძალები. ისინი, როგორც ყოველთვის, ცდილობენ შებორკონ მუშათა კლასის რევოლიუციონური ენერგია; ისინი მხოლოდ სიტყიერი პროტესტებით კმაყოფილდებიან.

მხოლოდ კომუნისტური პარტიები აწარმოებენ თავგანწირულ ბრძოლას ბურჟუაზიის დასამხობად და ამ გზით მსოფლიო მშვიდობიანობის მისაღწევად.

რევოლიუციონური პროლეტარიატი და მთელი მშრომელი მასსა თანდათან ირაზმება მათ გარშემო.

და ეჭვი არ არის, რომ მსოფლიო პროლეტარიატის მებრძოლი შტაბი—კომინტერნი შესძლებს ამ გადამწყვეტ მომენტში თავის ისტორიულ მისიის შესრულებას.

ამდენი ხანია მშრომელი მასსები ითმენენ აუწერელ უბედურებას ერთი მუჭა ბირჟევიკების და ბანკირების ბოროტმოქმედებათა წყალობით. მათ მოთმინებას საზღვარი ედება. დგება დრო, როცა ისინი უკანასკნელი გადაწყვეტილებით შესძახებენ ამ შაიკას: გეყოთ, რაც ამდენ ხანს ჩაგიდენიათ დანაშაული, რაც გიწოვიათ მშრომელთა სისხლი. და აღშფოთებული პროლეტარიატი მაგარი დაკვრით გაანადგურებს ამ ყაჩაღების ბატონობას. ეს მომენტი შორს არ არის. ეს დრო კარზეა მომდგარი. ჩვენი მუშათა კლასიც მზად უნდა იყოს ამისათვის.

დროა გადავიდეთ გადამწყვეტ შეტევაზე

3 თებერვალი იყო დღე, როდესაც ტფილისის მუშებმა პოლიტიკური გამოცდა ჩააბარეს რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. ქართველი მუშები თეთრგვარდიელთა კედლით იყვენ ჩამოშორებული რუსეთის მუშებისაგან, რომელთანაც ისინი მჭიდროთ იყვენ დაკავშირებული საერთო რევოლიუციონურ ბრძოლის ათეული წლებით. მენშევიკები, რომელნიც 3 წლის განმავლობაში ბატონობდნენ საქართველოში, წყევლა-კრულვას უთვლიდენ რა ოქტომბრის რევოლიუციას და რუსეთის რევოლიუციონურ მუშებს, სცდილობდენ საბოლოვოდ მოესპოთ ოქტომბრის რევოლიუციის ზეგავლენა ქართველ მუშებს შორის და ამით შეგნებულად თიშავდენ მათ რუსეთის პროლეტარიატთან.

ეს კიდევ ცოტაა. 3 წლის განმავლობაში ჟორდანიამ და მისმა კომპანიამ მოახერხეს ძმური კავშირის გაწყვეტა ქართველ და ბაქოს მუშებს შორისაც. კომუნისტური პარტია იყო ერთად ერთი პარტია, რომელსაც არალეგალურ მუშაობის პირობებში მაგრად ეჭირა ხელში პროლეტარულ სოლიდარობის დროშა და რომლის მიზანი იყო ხელახლა დაემყარებია მჭიდრო კავშირი საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის და მთელი საბჭოთა ფედერაციის მუშებს შორის.

ამ მიზნის მიღწევა პარტიამ მოახერხა მაშინ, როდესაც ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება.

ამიერ-კავკასია—ეს მეორე ბალკანეთია. საბჭოთა წესწყობილების დამყარებამდე 3 წლის განმავლობაში აქ მძვინვარებდა ნაციონალისტური ქარბუქი. და მუშათა კლასიური შეგნება ბნელდებოდა გამცემლურ ლოზუნგებით: „სამშობლოს დაცვა," „კლასთა შერიგება" „საერთო ეროვნული გაერთიანება" და სხვა.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით" — ეს ლოზუნგი, რომელიც ჩაქოლეტილი იყო მხეცური შოვინიზმის ტალახში, მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების მიერ, საჭირო იყო ხელახლა წამოგვეყენებია და გაგვეხადა მებრძოლ ლოზუნგად საქართველოს მუშებისათვის. ეს იყო კომუნისტური პარტიის პირველხარისხოვანი ამოცანა. 3 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით დაულალავათ მუშაობდენ ჩვენი კომუნისტური ორგანიზაციები. და რა მოხდა? როდესაც საფრანგეთის იმპერიალიზმი (რომლის მოწყალებით „მუშაობენ" ემიგრანტი-ქართველი მენშევიკები) ოკუპაციით იკავებს რურის ოლქს და დაუჯერებელ ძალადობას სჩადის გერმანიის მუშების მიმართ,—მწყობრი რიგებით გამოდის ქუჩაში ტფილისის პროლეტარიატი იმისათვის, რომ გამოსთქვამს თავის აღშფოთება და პროტესტი საფრანგეთის ბირჟევიკების წინააღმდეგ და ამავე დროს გამოუცხადოს სოლიდარობა გერმანიის პროლეტარიატს.

ჩვენ უკვე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ორი წლის განმავლობაში ბოლშევიკებმა მოახერხეს ხელახლა დაემყარებიათ ძმური კავშირი საქართველოს, აზერბეიჯანის, რუსეთის, სომხეთის და სხ. მუშათა შორის. 3 თებერვალს ტფილისის მუშამ ჩააბარა პოლიტიკური გამოცდა. თავის მტრების და მეგობრების წინაშე მან დაამტკიცა, რომ იგი არის სამაგალითო რაზმი, რომელიც ერთიან პროლეტარულ ფრონტის დროშის ქვეშ, მზადაა ყოველ წუთში იერიში მიიტანოს კაპიტალისტურ სიმაგრეზე. ამის დადასტურება სერიოზულად შეიძლება, თუ 3 თებერვლის დემონსტრაციის მაგალითს დავაკვირდებით. ჩვენ ვხედავთ, რომ მენშევიკების ნაციონალისტურ ბურუსის შემდეგ გაიზარდა ტფილისის მუშების კლასიური შეგნება. ჩვენ არასოდეს არ ვფიცავდით, რომ მენშევიზმმა თავის დროზე ღრმა ფესვები გაიდგა საქართველოში, და რომ ერთგვარი გამთიშველი გავლენა მოახდინა საქართველოს მუშების ერთ ნაწილზე. ჩვენ ეს მშვენივრად გვესმოდა და ამიტომ საკითხი, მუშათა მასების დაპყრობის, მ მასასთან დაახლოვების საკითხი, იყო მთავარი საკითხი ჩვენი პარტიისათვის საქართველოს გასაბჭოების პირველი დღიდანვე.

განვლო თითქმის 3 წელმა და უკვე შეგვიძლია აღვნიშნოთ ზოგიერთი შედეგები. ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ ტფილისის მუშებმა 3 თებერვალს პოლიტიკური გამოცდა ჩააბარეს. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი პარტიის მიართაც. ამ დღეს ჩვენც ჩავაბარეთ პოლიტიკური გამოცდა. ჩვენ არასოდეს არ ვაზვიადებთ ჩვენს გამარჯვებას და დაუზოგავად ვაკრიტიკებთ ჩვენს თავს, ვამჟღავნებთ ყველა ჩვენ შეცდომებს და დეფექტებს. მაგრამ 3 თებერვლის დემონსტრაციის შემდეგ სრული კმაყოფილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მენშევიზმი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აბნელებდა მუშების შეგნებას მთელი თავისი ჩვეული გამცემლობით, განადგურებულია და დამარხული თვით ტფილისის მუშათა ხელებით. დემონსტრაციაზე ერთმა ძველმა უპარტიო მუშამ მითხრა შემდეგი: „დიდი ხანია მე არ მინახავს ასეთი განწყობილება ერთად-ერთი იარაღი—ნაციონალუ- ჩვენ მუშებში. დღეს განსაკუთრებით ვგრძენი, რომ გერმანიის მუშები ჩვენი ნამდვილი ძმებიაო". ამ უბრალო სიტყვებში მშვენივრად გამოსჩანს ის გარდატეხა საქართველოს მუშათა მასების განწყობილებაში, რომელსაც ჩვენ ამ უკანასკნელ ხანებში ვამჩნევთ. თუ 3 წლის წინად ქართველი მუშა იძულებული იყო ვინტოვკით ხელში ებრძოლა სომხეთის მუშების და გლეხების წინააღმდეგ, თუ ის თითქმის იმავე განწყობილებაში იყო ბაქოს მუშის მიმართ, არას ვიტყვით იმაზე, თუ როგორ შუღლს სთესავდენ რუსეთის პროლეტარისადმი, რომელმაც სოციალურ რევოლიუციის კეტით დაამხო ბურჟუაზია—დღეს მან არა თუ დაუკავშირა თავისი ბედი რუსეთის, ბაქოს და სომხეთის მუშას, არამედ „განსაკუთრებით გრძნობს, რომ გერმანიის მუშა მისი ნამდვილი ძმაა"! პირველი შეხედვით თითქოს ყველაფერი ეს ნათელი და მარტივია, თვით მენშევიკებიც არ ილაშქრებენ საფრანგეთის ანტი-კაპიტალისტური პროტესტის წინააღმდეგ (თუმცა ისინი წინააღმდეგი არ არიან ისარგებლონ პუანკარეს, ფოშის და კომპანიის ნასუფრალით). მიუხედავათ ამისა საკითხი არც ისე მარტივია, გარდატეხა ტფილისის მუშების განწყობილებაში ინტერნაციონალურ სოლიდარობისაკენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენ პირობებში, ვინაიდან არსად ასე თავხედურათ არ იშხამებოდა მუშათა კლასიური შეგნება ნაციონალისტური შხამით, როგორც ამას ადგილი ქონდა საქართველოში სოციალ-დემოკრატების ბატონობის დროს. ეჭვს გარეშეა, ჩვენ აქ გავიმარჯვებთ, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. მუშათა მასებში გავლენის მოპოებისათვის ბრძოლის დროს, დაპყრობილ პოზიციების გამაგრების შემდეგ, ჩვენ უნდა გადავიდეთ გადამწყვეტ შეტევაზე და საბოლოოთ გავანადგუროთ ჩვენი მტერი, რომლის ხელში დარჩა ლური შხამი. ფურცლები და პროკლამაციები, რომელსაც მენშევიკები უშვებენ, შოვინისტურია. უკანასკნელ ხანებში, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ზოგჯერ მენშევიკები ძალიან მოხერხებულად იყენებენ რა „ლეგალურ შესაძლებლობას", სცდილობენ სთესონ მუშათა შორის ნაციონალური შუღლი. იყო ერთი მეტად დამახასიათებელი შემთხვევა, როდესაც მათ ამ მიზნით გამოიყენეს ერთ-ერთი პარტიიდან გამორიცხული. 3 წლის განმავლობაში მენშევიკებმა ისწავლეს მოხერხებული მუშაობა, მაგრამ ამავე დროს, ჩვენც ვისწავლეთ მათი დამარცხება და საქართველოს მუშების წინაშე ყველა მათი ზრახვების გამოაშკარავება. 3 თებერვლის დემონსტრაცია იყო მორიგი დამარცხება ქართველი მენშევიკებისა.

მაგრამ, დროა გადავიდეთ გადამწყვეტ შეტევაზე და საბოლოოდ გავანადგუროთ მენშევიკები, მით უმეტეს, რომ მათ განკარგულებაში ძალიან ცოტა პოზიციები დარჩა.

რუბენი.

ღია წერილი

ლონდონის და ვენის ინტერნაციონალების და ამსტერდამის მუშათა ინტერნაციონალს

იანვრის 13-ს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოგმართათ თქვენ შეკითხვით, რა ზომების მიღებას აპირებთ ჰააგის ყრილობაზე მიღებულ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად ახალი ომის შესაძლებლობის შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვის მოწყობის შესახებ.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაავალა ქვემოდ ხელის მომწერთ ამხანაგ კაშენთან ერთად გამართონ თქვენთან მოლაპარაკება მოსალოდნელ ომის საფრთხის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის შესახებ. მარსელ კაშენს, საფრანგეთში კომუნისტური პარტიის დევნის გამო, და აგრეთვე, რადგან მას დაპატიმრება მოელის*) რურის ოკუპაციის საწინააღმდეგო კამპანიისათვის არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ჩვენთან ერთად ამ მოლაპარაკებაში.

ქვემოთ ხელის მომწერნი მოელიან თქვენს პასუხს და მზად არიან დაუყოვნებლივ გაერთიანდენ თქვენთან ერთად საერთაშორისო კომიტეტში, რომელიც შესძლებს ბრძოლის წარმოებას მოსალოდნელ ომის საფრთხის წინააღმდეგ.

— რუსეთის მუშების დელეგაცია ჰააგაში მოითხოვდა, რათა 2 იანვრისათვის მოწყობილიყო საერთო საპროტესტო გაფიცვა, რომელიც დაუმტკიცებდა საერთაშორისო ბურჟუაზიას, რომ პროლეტარიატს მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს აწარმოოს ბრძოლა მოსალოდნელი ომის საფრთხის წინააღმდეგ. რუსეთის მუშების დელეგაციამ ჰააგაში იწინასწარმეტყველა, რომ იანვარში აუცილებლად გამოცხადებული იქნება რურის ოკუპაცია. ჰააგის კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობამ ჩვენი განცხადება უმნიშვნელოდ ჩასთვალა.

ყველა მონაწილენი კმაყოფილდებოდენ პლატონიურ პროტესტებით სრულის რწმენით, რომ ბურჟუაზიული დიპლომატია იპოვის გამოსავალს შექმნილ მდგომარეობიდან. კაპიტალისტურმა დიპლომატიამ ეს გამოსავალი ვერ იპოვა, ისე, როგორც მან ვერ შესძლო 4 წლის განმავლობაში გამოერკვია საჭირო პირობები მთელი ქვეყნის მშვიდობიან განვითარებისათვის. რურის ოკუპაცია აყენებს მთელს ქვეყანას მოსალოდნელი ომის უშუალო საფრთხის წინაშე.

— საფრანგეთის მთავრობის პროექტი გამოდის იმ დებულებიდან, რომ რურის ოლქში გერმანიის ნახშირის და ფოლადის ჩამომსხმელ მრეწველობის ჩამორთმევის საშუალებით, ის აიძულებს გერმანიის კაპიტალისტებს გადაიხადონ ფული. მაგრამ საფრანგეთის მთავრობის ამ პროექტს წინ უძღოდა ის პირობა, რომ საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლება შესძლებს რურის ოლქის მმართვა გამგეობას, არსებულ მდგომარეობაში დასტოვებს მრეწველობას და გავლენას მოახდენს მთელ გერმანიის მრეწველობაზე, ხელში ჩაიგდებს და გაანაწილებს რა ნახშირს.

ეს პროექტი დამარცხდა ნახშირის სინდიკატის ესსენიდან ჰამბურგში გადატანის გამო. საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლება ხედავს რომ შეუძლებელია რურის ოლქის მრეწველობის შენარჩუნება. და მას დღითი დღე გადაელობება სულ ახალი და ახალი დაბრკოლებები მუშებისათვის სამუშაო ხელფასის მიცემის დროს, მაგრამ ყველა აქედან აშკარაა, რომ საოკუპაციო ხელისუფლება გასცილდება რურის ოკუპაციის ფარგლებს, რათა უფრო დაახრჩოს გერმანია. მოდის ხმები პოლონეთის სამხედრო მზადების შესახებ. საფრანგეთს გაოჰყავს თავისი ვასალები გერმანიისმ წინააღმდეგ. მაგრამ, თუ გინდ ესეც რომ, არ მომხდარიყო საოკუპაციო ზონაში ყოველ მომენტში, მცხოვრებლებსა და ოკუპანტებს შორის დამოკიდებულების გამწვავების გამო, შეიძლება მოხდეს შეტაკება საოკუპაციო ჯარებსა და მცხოვრებლებს შორის და ეს შეტაკებები გერმანიის ნაციონალისტურ განწყობილებას უკიდურესობამდე მიიყვანს, და თუ საფრანგეთში მილიტარისტული ელემენტები მოინდომებენ გამოიყენონ ის დაბრკოლებები, რომელიც პუანკარეს რურში გადაელობა და აიძულებენ მას წავიდეს გერმანიის დაქუცმაცების პოლიტიკის გზით, იმ შემთხვევაში, გერმანიაში ადვილად შეიძლება ამოძრავდეს ის ძალები, რომლებიც გერმანიას ომამდე მიიყვანენ და ისარგებლებენ ნაციონალისტური აღტყინებით ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ და კონტრ-რევოლიუციის გასატარებლად. რეინის ორივე მხარის სახელმწიფოებმა არ იციან რა მოელით მათ ხვალისთვის.

31 იანვარს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება, იმის გამო, რომ გერმანია ვერ შესძლებს მასზე დაკისრებულ საკონტრიბუციო გადასახადის შეტანას, და მაშინ საფრანგეთის სეპერატიული გამოსვლა შეიძლება გადაიქცეს მთელი ანტანტის გაერთიანებულ გამოსვლათ. მაშინ გერმანიის ხალხის წინაშე დადგება საკითხი: ან სრული დამორჩილება და მონობა ან—ბრძოლა.

ჰააგის ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომ პროლეტარიატმა ყოველგვარი საშუალებით უნდა იბრძოლოს მოახლოვებულ საშიშროების წინააღმდეგ და ამ საშიშროების დადგომისთანავე უნდა გამოცხადდეს საყოველთაო გაფიცვა. ეს საშიშროება უკვე დადგა. მხოლოდ ბრმას შეუძლია ამის უარყოფა. ლაპარაკია არა მხოლოდ საფრანგეთ-გერმანიის ომზე—ამ ომს შეუძლია ფეხზე დააყენოს ევროპის მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი. ლიტვას მიერ ბებელის ხელში ჩაგდება, მდგომარეობა ჰუნგრეთ-რუმინიის საზღვარზე მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენათ შერყევია უკანასკნელ წლების წინასწრობა, როგორ დუღს ის ძალები, რომელთა განვითარებას ცენტრალურ ევროპის კერძო კონფლიკტი სრულიათ-ევროპის კონფლიკტად აქცევს.

ჩვენ ოდნავაც ეჭვი არა გვეპარება იმაში, რომ, როგორც ამსტერდამის ინტერნაციონალის ლიდერები, აგრეთვე ლონდონისა და ვენის ინტერნაციონალის ლიდერები, ჩვენსავით აფასებენ მდგომარეობას. და ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ მათ გაატარონ სინამდვილეში ის საზეიმო დადგენილებანი, რომლებიც ერთი თვის წინ მათ გამოჭედნდათ ჰააგის ყრილობაზე და შეუდგენ საყოველთაო გაფიცვის ორგანიზაციას. ჩვენ მოუწოდებთ მათ დაუყონებლივ შექმნან კონტაქტი ჩვენთან საჭირო ღონისძიებათა გამოსამუშავებლათ.

კომუნისტურ ინტერნაციონალის პარტიები და მუშათა მასები, რომლებიც მუშათა წითელ ინტერნაციონალს მოჰყვებიან, შეასრულებენ თავიანთ ვალს, რაც უკვე დაამტკიცეს ჩვენმა ფრანგ ამხანაგებმა.

ჩვენი წინადადება არის—საყოველთაო გაფიცვის ვადათ დაინიშნოს 31 იანვარი. გაფიცვის ხანგრძლივობის შესახებ უნდა შესდგეს სამივე პოლიტიკურ ინტერნაციონალის და ორივე მუშათა ინტერნაციონალის წარმომადგენელთა თათბირი, რომლის მოწვევა ჩვენ განზრახული გვაქვს 21 იანვარს ბერლინში.

უკეთუ ამსტერდამის მუშათა ინტერნაციონალის და ვენისა და ლონდონის ინტერნაციონალის ლიდერები უხერხულათ ჩასთვლიან ბერლინს და თუ მათ მხედველობაში აქვთ უფრო ხელსაყრელი ადგილი, ჩვენ მზათ ვართ გავემგზავროთ იქ, სადაც ისინი საჭიროთ სცნობენ და მხოლოთ ერთსა ვთხოვთ:

სასწრაფოდ ზომების მიღებას, რათა შეგვეძლოს მივიღოთ სათანადო მთავრობისგან შესვლის უფლება.

კომუნისტურ ინტერნაციონალის რწმუნებულნი:
კლარა ცეტკინი, ვალტონ ნეიბოლდი, კარლ რადეკი.

მუშათა წითელ ინტერნაციონალის რწმუნებული: მეკკერტი.

ბერლინი, 1 იანვ. 1923 წ.

---

*) როგორც მკითხველებმა იციან ამხ. კაშენი უკვე დააპატიმრეს.

პარტიული ყრილობისათვის

(მასალები)

საბჭოთა რუსეთი აღორძინებას იწყებს. ქვეყნის მეურნეობა უმჯობესდება, ნახევრად გაყინულ სამეურნეო ორგანიზმში სისხლი თბება და მისი ცირკულიაცია უფრო ჩქარი ხდება. მაგრამ ეს სამეურნეო აღორძინება ორი გზით სწარმოებს: სოციალისტური ფორმების განმტკიცებით ერთის მხრივ და წვრილ-ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ფორმების განვითარებით—მეორეს მხრივ. ამ გზაზე თავისებური საშიშროება მოგველის ჩვენ: ვიქნეთ წალეკილი მეურნეობის კერძო კაპიტალისტური ფორმების ჩქარი განვითარებასაგან; შინაგანი გარდაქმნის საშიშროება; მუშათა და გლეხთა ამდენხანს ერთიან ბლოკის გათიშვის საშიშროება და სხვა და სხვა.

არსებითად საკითხი გადაწყდება თუ მას ჩვენ განვიხილავთ სოციალ-კლასიურ ძალების მხრივ, თუ როგორი იქნება დამოკიდებულება მუშათა კლასსა და გლეხობას შორის. ყველა ეს საშიშროებანი არ არიან დღევანდელი დღის საშიშროებანი, მათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქვს ხანგრძლივი პერსპექტიული ხასიათი. მაგრამ ისინი არსებობენ,—და საკმაო დიდ საფრთხესაც წარმოადგენენ. აი ამიტომ, ჩვენმა პარტიამ, რომელიც ყოველთვის წინასწარ ითვალისწინებდა ყოველგვარ გარემოებებს, ფხიზლად და ნათლად უნდა წარმოიდგინოს ეს გარემოება და მიიღოს სათანადო ზომები მის თავიდან ასაშორებლად.

ამიტომ გასაგებია, რომ მუშათა კლასის გლეხობასთან დაკავშირების საკითხი ხელახლა ისმის მორიგ საკითხად.

ყრილობის სხდომის დღის წესრიგის მთელი რიგი ეკონომიური საკითხებისა, პირველ რიგში ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ.

მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში არა სდგას, მაგრამ რომელიც, ჩემის აზრით იმავე ხასიათის საკითხია. ეს საკითხია ე. წ. **კულტურულ ფრონტის შესახებ.** ეს საკითხი უნდა დაისვას პარტყრილობის დღის წესრიგში.

ამხ. ლენინმა გაზეთ „პრავდა"-ში მოთავსებულ წერილში უკვე წამოაყენა ეს საკითხი. მას, მართლაც, დღევანდელ პირობებში სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს. თუ ჩვენ ჩვენი ძალების მნიშვნელოვან ნაწილს ვახმართ და მომავალში კიდევ უფრო მეტი ნაწილი უნდა მოვანდომოთ სამეურნეო აღმშენებლობას სოფლად, ჩვენ ამასთან ერთად, ამ დარგში უნდა განვავითაროთ დიდი კულტურულ-იდეური მუშაობა. შესაძლებლობანი ამისათვის მოგვეპოვება. მოვიგონოთ, რომ **ხუცესებიც** კი (ლაპარაკია დასავლეთ ევროპის ხუცესებზე), ახერხებდენ სამეურნეო იდეოლოგიურ ზეგავლენის საშუალებით (მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში, შკოლები, წერა-კითხვის ცოდნა, რელიგია) მიემხროთ გლეხობა მემამულეების და ბურჟუაზიისათვის.

პროლეტარიატმა ასეთივე მუშაობა უნდა აწარმოოს, მაგრამ მემამულეების და ბურჟუაზიის ნეპმანების წინააღმდეგ, მუშების და გლეხების ბლოკის სასარგებლოთ, ხელი შეუწყონ გლეხთა მასების და გლეხთა ღარიბი ნაწილის სამეურნეო და კულტურულ დონეს აწევას. რამდენადაც საქმე ეხება ძირითად ამოცანას ამ დარგში, რომელიც ეხება მილიონ გლეხებს, კამათი შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტიულ ღონისძიებათა შესახებ (რაც, როგორც ვიცით, სრულიადაც არ არის უმნიშვნელო საგანი). აი, ეს კონკრეტიული ღონისძიებანი უნდა იქნას განხილული.

მაგრამ საკითხს მეორე მხარეც აქვს. ქვეყნის საერთო კულტურულ აღორძინებისათვის და გლეხთა შორის მუშაობის საწარმოებლათ, საჭიროა კვალიფიციური იდეოლოგიური ძალები. ჯერ-ჯერობით ჩვენ ასეთი ძალები არ იოგვეპოვება, მაგრამ ასეთებს ჩვენ ვქმნით. ეს არის ჩვენი მომავალი იდეოლოგიური კაპიტალი. ამ კაპიტალის „წარმოების" დროს, ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ წერა-კითხვის საჭიროების ქადაგებით და სხვა. და აი, საერთო საკითხის ამ „ქვესაკითხში" პარტიულ წრეებში დიდი აზრთა სხვა და სხვაობა არსებობს. სპეციალურ ჩვენი გამოცემათა კითხვის დროს ვეჯახებით დიდ უთანხმოებას, რაც საქმეს ძალიან დიდ ზიანს აყენებს. მე მგონია, რომ ეს „ქვესაკითხიც" უნდა იქნას განხილული ჩვენ პარტიულ ყრილობაზე.

კულტურულ მუშაობასთან ერთად სდგას საპროგრამო საკითხი, რომელიც რა თქმა უნდა, ამ ვიწრო ჩარჩოებში აღარ ეტევა. ჩვენი პროგრამა მის კონკრეტიულ ნაწილში აშკარათ დაძველდა, ახალი ეკონომიური პოლიტიკა მის თვალსაზრისის გარეშე რჩება. ცხოვრებამ ძალიან გაუსწრო მას. ამიტომ ჩვენთვის საჭიროა, ეს საკითხი დაისვას ყრილობის დღის წესრიგში. თვითეულმა მუშამ კულტურულ ფრონტზე, ფაბრიკაში, კლუბში, ყაზარმაში, პარტიულ შკოლაში,—იცის, თუ როგორი სიძნელის გადალახვაა საჭირო ჩვენი პროგრამის კონკრეტიულ მუხლების განმარტების დროს.

იგივე ითქმის „კომუნიზმის ანბანის" კომენტარიების შესახებ, რომელიც პარტიის კანონად გადაიქცა. ეს „ანბანი" დაძველდა და პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ თვით პროგრამა დაძველდა, გარდა ამ მოსაზრებათა, არის სხვა გვარი მოსაზრებაც; სადა გვაქვს ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამოცდილებათა ჯამი? განა ჩვენთვის უფრო ნათელი არ გახდა ბევრი რამ, რაც სავსებით ნათელი ან უკეთ, სრულიათ ნათელი არ იყო პარტიის მე-8 ყრილობის მომენტში? საჭიროა ოფიციალური პარტიული

წითელი არმიის 5 წლის თავის დღესასწაულისთავის

გმირული წითელი არმიის დამსახურებამ მთელი მუშათა კლასისა და ყველა მშრომელი მასსების წინაშე წარუშლელი სახელი მიანიჭა მას და ყოველი მუშისა და გლეხებისათვის ძვირფასი გახადა ის.

დიდათ მნიშვნელოვანია წითელი არმიის განსაკუთრებული დამსახურება ამიერ-კავკასიაში. წითელმა არმიამ აქ ხელი შეუწყო მუშების და გლეხების დაუძინებელი მტრების განდევნას ამიერ-კავკასიის ტერიტორიიდან, ხელი შეუწყო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. წითელ-არმია იცავს აქ ფედერაციის საზღვრებს, ქმნის რა ამით მუშაობის გაფართოების შესაძლებლობას სასოფლო-მეურნეობის და მრეწველობის აღდგენის სფეროში.

საბჭოთა რესპუბლიკები, რომელნიც ამ ჟამად სდებენ ისტორიაში ჯერ გაუგონარ სოციალისტურ კავშირს, წითელი არმიის გამარჯვების საშუალებით, გამაგრდენ და გადაიქცენ მსოფლიო მნიშვნელობის ძალათ. წითელი არმიის როლი ეხლაც ძლიერ დიდია. ახალი თავდასხმების საფრთხე ჯერ განვლილი არ არის. კაპიტალისტურ ქვეყანას არ სურს განიარაღება. პირიქით ის ისევ ლესავს მახვილს და ამზადებს ახალ ომებს. ასეთ დროს ჩვენი წითელი არმია უნდა გადაიქცეს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასსების ყურადღების ცენტრად. ყველა საბჭოთა ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, და ყველა მუშები და გლეხები ვალდებული არიან ყოველ მხრივ იზრუნონ წითელი არმიის შესახებ. საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება, რათა წითელმა არმიამ შემცირებულმა რამდენადაც ეს შესაძლებელია, შესძლოს შესრულება თავისი დიადი ამოცანის—საბჭოთა ხელისუფლების დაცვის ყოველგვარი თავდასხმისა და ძალადობისაგან.

1923 წლის 23 თებერვალს სრულდება 5 წელი დღიდან რ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ დეკრეტის გამოქვეყნებისა მუშათა და გლეხთა წითელი არმიის დაარსების შესახებ. ამ დეკრეტით იწყება ჩვენი გამარჯვებების ორგანიზაცია ბურჟუაზიის ძალაუფლების ჩამოგდების შემდეგ. **წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღე** უნდა იქნეს დიდი დღესასწაული ყველა მშრომელთათვის. წითელი არმია არის მუშების და გლეხების კავშირის განსახიერება. ხუთი წლის თავის დღესასწაული უნდა გადაიქცეს ყველა მშრომელთა და წითელი არმიის მჭიდრო შეკავშირების და გაერთიანების დღეთ. მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მატროსების დეპუტატების საბჭოს ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიიღონ ყოველგვარი ზომები წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღესასწაულის ღირსეულად ჩატარების უზრუნველყოფისათვის

ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასკომის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამ. კავკ. ცენტრ. აღმასკ. მდივანი ბ. ტალიბლი.

2 თებერვალი 1923 წ.

ქ. თბილისი.

დოკუმენტი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მთელ ჩვენ პარტიულ და თანამგრძნობელ უპარტიო მასებს.

დასასრულ, უკანასკნელი არგუმენტი, კომინტერნი შეუდგა საერთო პროგრამის შემუშავებას. რუსეთის პარტიას (და არა ვინმე სხვას), უნდა ქონდეს თუ არა თავისი პროექტი მე-5 კონგრესისათვის? ჩემის აზრით უნდა ქონდეს. არ იქნება კარგი, თუ მთელი რიგი პარტიებისა წარადგენენ თავიანთ პროექტებს, ხოლო რუსეთის პარტია, რომელიც ხელმძღვანელათ არის აღიარებული არ იტყვის თავის სიტყვას.

მე წინადადებას ვიძლევი ორივე ეს საკითხები შეუერთოთ დღის წესრიგის დანარჩენ მუხლებს.

ნ. ბუხარინი.

სენატორი მონსი რუსეთ-საფრანგეთის ურთი-ერთობის შესახებ

საფრანგეთის სენატორი ანატოლი მონსი პარიზის ჟურნალ „ყოველ კვირეულ მიმოხილვაში" ეხება საფრანგეთ რუსეთის ეკონომიურ ურთიერთობის საკითხს.

მონსი სწერს: **„საფრანგეთის მეტალურგიულ ნაწარმოებისათვის რუსეთი წარმოადგენს დიდ ბაზარს; რუსეთს თავის მხრივ შეუძლია პურის მოწოდება ჩვენთვის. ჩვენ შეიძლება მოვერიდოთ რუსებს, როგორც რევოლიუციონერებს, მაგრამ ისინი საჭირონი არიან ჩვენთვის, როგორც მომხმარებელნი".**

შემდეგ მონსი იგონებს, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს დეპუტატ ანრიოლმა შეკითხვა მისცა მთავრობას, „შეუძლიათ თუ არა საფრანგეთის კომერსანტებს ივაჭრონ რუსეთთან, ისე რომ, მათ საქმე არ ექნეთ საფრანგეთის სასამართლოსთან რუსეთთან საქონლის შემოტანის დროს", რაზედაც ბრიანმა უპასუხა, რომ „რუსეთიდან შემოტანილი საქონელი, თავისათავად ცხადია, ჩამორთმეული იქნება რუსეთში დაზარალებულ საფრანგეთის ყოფილ მესაკუთრეთა კომპენსაციისათვის". მონსი ჰკიცხავს შემცდარ პოლიტიკას მთავრობისას, რომელმაც საკითხი რუსეთთან სავაჭრო ურთი-ერთობის შესახებ გადასცა გადასაწყვეტათ სამოქალაქო სასამართლოს, და აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა იმავე დროს სულ სხვა გზით მიდიოდა. მას საბუთად მოჰყავს ინგლისის სასამართლოს ცნობილი გადაწყვეტილება, რომლის ძალით შემოტანილი საქონლის ნამდვილ მესაკუთრეთ ცნობილ იქნა რუსეთის მთავრობა, და არა მისი ყოფილი მესაკუთრე—ინგლისელი ვაჭარი, რომელიც მოითხოვდა საქონლის კონფისკაციას. მონსის სიტყვით ასეთსავე თავისუფლებას მოითხოვენ თავისათვის საფრანგეთის სავაჭრო პალატები. მაგრამ ეს ცოტაა: **საჭიროა საბჭოთა რუსეთის ცნობა.** საფრანგეთი რუსეთთან ხელშეკრულების დადებით, სრულიადაც არ დაანებებს თავს საკუთრების უფლების იდეის დაცვას, სწორედ ისე, როგორც ვატიკაანთან შერიგებით, მას არ დაუკარგავს თავისი პრესტიჟი. **საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე ეხლანდელ რუსეთში ეჭვს გარეშეა.** საფრანგეთის მოთხოვნა გენუაში რუსეთის მიერ ომის წინა და ომის დროინდელ ვალების ცნობის შესახებ, როგორც პირობა საბჭოთა ხელისუფლების ცნობისა, არის, მონსის აზრით, უდიდესი შეცდომა. და გარდა ამისა: „თუ საფრანგეთი შემდეგშიაც კიდევ გააჭიანურებს საბჭოთა რუსეთის ცნობის საკითხს, იმ შემთხვევაში, მას მოელის საფრთხე, რომ ის სრულიად განდევნილი იქნება ინგლისის და გერმანიის მიერ რუსეთის ბაზრიდან. მხოლოდ საფრანგეთ-რუსეთის მჭიდრო ეკონომიურ ურთი-ერთობას შეუძლია ნაწილობრივ მაინც აუნაზღაუროს ზარალი საფრანგეთს. **პუანკარე კარგად მოიქცა, როდესაც შესცვალა თავისი პოლიტიკის კურსი რუსეთის საკითხში ერრიოს ჩამოსვლის შემდეგ კურსის შეცვლა იმედს გვაძლევს, რომ ახლო მომავალში განახლებულ იქნება შეწყვეტილი სავაჭრო ურთი-ერთობა რუსეთთან".**

პროფინტერნში

საფრანგეთის შრომის უნიტარულ კონფედერაციას

ძვირფასო ამხანაგებო! პროფინტერნი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს თქვენს ბრძოლას თქვენი ქვეყნის გაბატონებული კლასების წინააღმდეგ. საფრანგეთის გაათრებული რეაქცია, გათამამებული სამრთო გაერთიანების პოლიტიკით, ცოფმორეული თავს დაგესხათ თქვენ და კომუნისტებს, როგორც საფრანგეთის პროლეტარიატის რევოლიუციონური სინიდისის მატარებლებს. თქვენს შეჯახებაში საფრანგეთის საფინანსო და სამრეწველო სვავებთან სწრაფად გამოირკვა ყველა მუშათა ორგანიზაციების პოზიცია.

ვინ ებრძვის გერმანიის მშრომელთა მასების უსირცხვილო ჩაგვრას?—შრომის უნიტარული კონფერენცია და კომუნისტური პარტია.

ვინ ბუტბუტებს უმწეოთ ამის გამო და ურჩევს მთავრობას გადასცეს კონფლიქტი ერთა ლიგას?—ის ვაჟბატონები, რომლებიც ერთი თვის წინად ფიცს სდებდენ ჰააგაში საერთაშორისო გაფიცვისათვის. რენოდელი, ბლიუმი, ჟუო დიუმულენი და ფრაზების სხვა გმირები სხვას ვერაფერს პოულობენ თავიანთ არსენალში გარდა იმისა, რომ წინადადება მისცენ საფრანგეთის მთავრობას, რათა საკითხის გადაჭრა დაევალოს ერთა ლიგას. მათ უკვე დაავიწყდათ, რომ რამოდენიმე კვირის წინათ ისინი ფიცს სდებდენ საერთაშორისო გაფიცვისათვის. სხვათა შორის, მათ არასოდეს არ ახსოვდათ, რომ სდებდენ ასეთ აღთქმას, ვინაიდან, იმ დღეს, როდესაც ისინი კენჭს უყრიდენ ამ რეზოლიუციას, მათ კარგათ ესმოდათ, რომ ამას ცხოვრებაში არ გაატარებდენ. საფრანგეთის შრომის უნიტარულ კონფედერაციას და კომუნისტურ პარტიას არავითარი ვალდებულება არ აუღიათ თავის თავზე ჰააგაში, ისინი იქ არ მიიწვიეს, ისინი ულირსათ ჩასთვალეს ამ პაციფისტურ სამხეცესათვის, მათ არავითარი აღთქმა არ დაუდვიათ, მაგრამ ისინი ასრულებენ თავიანთ საერთაშორისო მოვალეობას. კომუნისტისა და რევოლიუციონურ სინდიკალისტისათვის ბრძოლა იმპერიალიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ თავის თავად იგულისხმებს; თვით ის ფაქტი, რომ ისინი ეკუთვნიან პროფინტერნს და კომინტერნს, ავალებს მათ აწარმოვონ ეს ბრძოლა.

სულ სხვას ვხედავთ ჩვენ მეორე ბანაკში. იქ ძლიერ ხშირად ფიცულობენ ბრძოლას, მაგრამ არასოდეს მას არ აწარმოებენ.

იქ ხელს აწერენ საზეიმო დეკლარაციებს, მაგრამ ისინი ქაღალდზე რჩებიან. იქ ხმას აძლევენ რეზოლიუციებს. მაგრამ თვით ხმის მიმცემნი დარწმუნებული არიან, რომ ეს რეზოლიუციები ცხოვრებაში არ გატარდებიან. და როგორ შეუძლიათ ამ ბატონებს გაატარონ საერთაშორისო გაფიცვა, როცა ისინი იმავე ჰააგაში და ჰააგის შემდეგ, უკვე თვით რურის ოლქის ოკუპაციის დროსაც, რეპარაციებს სამართლიანად სთვლიან. თუ რეპარაციები სამართლიანია, მაშასადამე გამოდის, რომ სამართლიანია ძალადობითი ზომებიც ამ რეპარაციების მისაღებად. და შემდეგ ეს იდეია—საკითხის ერთა ლიგისათვის გადაცემა,—ვასგან შესდგება ერთა-ლიგა? იმავე ბანდიტებისაგან. ვინ არ იცის, რომ ერთა ლიგა არის იმპერიალისტურ სახელმწიფოების ტრესტი.

პატარა და სუსტ ერების ექსპლოატაციისათვის საკითხის ერთა ლიგისათვის გადაცემა, ეს ნიშნავს იმას, რომ კვლავ გადაეცეს ეს საკითხი გადასაჭრელად იმავე ინგლისს და საფრანგეთს, რომლებიც ვერაფრით ვერ შეთანხმებულან იმაში, თუ როგორ სცარცვონ უკეთ გერმანიას და საკუთარი ხალხები. ეს წინადადება და სიტყვიერი პროტესტები არის უბადრუკი ჩმახვა მოქმედების ნაცვლად, ეს ზედმეტი საბუთია ამსტერდამის ინტერნაციონალის და მის მომხრე ორგანიზაციების ხელმძღვანელების სიკოტრის და გამცემლობის დასამტკიცებლად.

საფრანგეთის რეაქცია გრძნობს, თუ ვინ იბრძვის ნამდვილად მისი ზრახვების წინააღმდეგ. ის ხელს არ ახლებს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის, შრომის რეფორმისტული კონფედერაციის და ადამიანის უფლებათა ლიგის წრიდან გამოსრულ ამ „ჭკვიან ხალხს",—ის მათ ხელს არ ახლებს, ვინაიდან მას კარგად ესმის, რომ ისინი ატარებენ მის პოლიტიკას, თუმცალა ფორმალურად პროტესტს აცხადებენ მის წინააღმდეგ. მაგრამ სამაგიეროდ ისინი მთელი თავისი გაათრებით თავს გესხმიან თქვენ, ვინაიდან. თქვენს ბრძოლაში ისინი ხედავენ ნამდვილ წინააღმდეგობას თავიანთ იმპერიალისტურ მტაცებლურ ზრახვებისადმი. ისინი ამხედრებული არიან თქვენს წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატის მთელი სიმძიმით. ისინი ხელუხლებლად სტოვებდენ შრომის უნიტარული კონფედერაციის ხელმძღვანელებს, როდესაც ისინი ძლიერ ბევრს ლაპარაკობდენ დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ისინი ამხედრდენ თქვენს წინააღმდეგ, როგორც კი თქვენ კომუნისტებთან ერთად გადადით მოქმედებაზე. თქვენ, ისევე როგორც კომუნისტებმა, ჩაიდინეთ „ღალატი", დაუკავშირდით რა გერმანელ რევოლიუციონერებს და კომუნისტებს.

თქვეი ულალატეთ საფრანგეთის იმპერიალიზმს, როდესაც ჟუო დიუმულენი და სხვები დარჩენ მისი მუდმივი ერთგულები. თქვენი ღალატი მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ მუშათა კლასის ინტერესებს მაღლა აყენებთ, ვინემ ინტერესებს ფიქციის, რომელსაც ნაცია ეწოდება. ნაციის ინტერესები არ არსებობს, არსებობს ცალკე კლასების ინტერესები და სახელმწიფოს პოლიტიკა ემსახურება ამა თუ იმ კლასის ინტერესებს. თქვენ ხმა აიმაღლეთ თავისი კლასის ინტერესებისათვის და ამაშია თქვენი ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა და მიზეზი იმ გაათრებისა, რომელიც მოედო საფრანგეთის გაბატონებულ კლასებს. საფრანგეთის ბურჟუაზია საკმაოდ ძლიერია და შეუძლია სერიოზული ზიანი მოუტანოს თქვენ რევოლიუციონურ ორგანიზაციას. მას მოეპოება ძლიერი აპარატი, რომლის უმთავრესს ამოცანას შეადგენს ბრძოლა შინაური მტრების წინააღმდეგ მაგრამ თქვენზე დატეხილი თავდასხმა ვერ გასტეხს პროლეტარიატის რევოლიუციონურ ნებისყოფას. მას შეუძლია დროებით ალაგმოს პიროვნებათა ესა თუ ის რაოდენობა, მაგრამ კლასის განადგურება მოსპობა შეუძლებელია. დეე მძვინვარებდეს გაათრებული რეაქცია, ბრალი დასდოს თქვენ ყველა მომაკვდინებელ ცოდვებში. დეე! გამოგტაცონ თქვენ ხან ერთი ხან მეორე მებრძოლი. მაგრამ საფრანგეთის რევოლიუციონური მუშები შესძლებენ თქვენს რიგებში გაჩენილ ცარიელ ადგილების შევსებას—წასვლას წინ, მუშათა კლასის წინაშე მდგომ დიადი მიზნის—შრომის განთავისუფლებისაკენ.

პროფინტერნი სიხარულით და სიამაყით აღნიშნავს, რომ პირველივე შეჯახებაში, პროფინტერნის მეორე კონგრესის შემდეგ, თქვენი ქვეყნის გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ თქვენ აღმოჩნდით ერთიან რევოლიუციონურ პროლეტართლი ოჯახის ღირსეული წევრები. თქვენ გერმანიის რევოლიუციონურ მუშებთან ერთად სწორად—ირჩიედ გზა საფრანგეთ—გერმანიის კონფლიქტის გადასაჭრელად, ეს არის გზა საფრანგეთ—გერმანიის ბურჟუაზიის დამხობის სხვა გზა არ არის და ესსენის კონფერენციის ღვაწლი, რომელმაც გააერთიანა გერმანიის და საფრანგეთის რევოლიუციოაური მუშები, მდგომარეობს იმაში, რომ მან სისწორით აირჩია ეს ერთად—ერთი გამოსავალი ვერსალის ზავით შექმნილ ჩიხიდან.

გულითადი სალამით **პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო.**

მოსკოვი, 25 იანვარი 1923 წელი.

ბოლო ცნობები

რურის ოლქის ოკუპაცია

უიარაღო ბრბოსათვის სროლის ატეხა.

ჰანოვერი. 6 თებერვალი. ესსენიდან იტყობინებიან, რომ კომუნისტური მიტინგის შემდეგ სადგურის წინ მოგროვილ ბრბოს საფრანგეთის ჯარებმა აუტეხეს სროლა ტყვის-მფრქვევლებიდან.

ფრანგების ბატონობის შედეგები.

ჰანოვერი. 6 თებერვალი. ფრანგების შემდეგ კობლენცის რკინისგზის სახელოსნოებში სავსებით გაფუჭებულია ლოკომოტივები, ინსტრუმენტები გაბნეულია, ინვენტარი განადგურებულია, უზომოდ გასვრილია შენობები.

გმირი კაპრალი—სროლას უტეხს ბავშვებს.

ჰანოვერი. 6 თებერვალი დიუსელდორფში, 3 თებერვალს, საფრანგეთის კაპრალმა, ყოველ მიზეზს გარეშე, სროლა აუტეხა ბავშვების ჯგუფს და მძიმედ დასჭრა ქალი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

სურდა რა მიეჩქმალა თავისი დანაშაული, კაპრალმა ამოიღო კომპენსაციის სახით 100.000 ქაღ. მარკა, რითაც გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება. გერმანიის მთავრობის რწმუნებულმა გაიღო ქალის დასაკრძალავად წინასწარი ხარჯებისათვის 200 ათასი მარკა.

ოკუპაციის გაფართოვება.

ჰანოვერი. 6 თებერვალი. საფრანგეთის ჯარებმა ოფენბურგის და აპენვეიდლერის გარდა დაიკავეს აგრეთვე მოლდელაუს სადგური, რითაც შეწყვეტილია რკინის გზის მოძრაობა ფრანკფურტთან და მანგეიმთან. ლიუდვიგსგაფენის ოლქში ჯარების კონცენტრაცია აიხსნება მანგეიმის დაკავების განზრახვით. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ფრანგებს განზრახული აქვთ დაიკავონ ბადენი.

ოკუპაცია გამოიწვევს მთელს ევროპაში მიმოსვლის მოშლას.

ჰანოვერი. 6 თებერვალი. გერმანიის სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ რკინის მოძრაობის მოშლა გერმანიაში წარმოადგენს მოძრაობის მოშლას მთელს ევროპაში, ვინაიდან შეწყვეტილია აგრეთვე საზღვარ-გარეთის სატრანზიტო მატარებლების მიმოსვლაც. რკინის გზის მოძრაობის შეზღუდვა გამოწვეულია ნახშირის სიმშილით, რომელიც გამოწვეულია ფრანგების მიერ მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაჩაგროს სუსტი უიარაღო მეზობელი.

მოსახლეობის გადაწყვეტილებაა—შეურყეველი წინააღმდეგობა.

ჰანოვერი. 6 თებერვალი. გერმანიის კანცლერმა კუნომ, რომელმაც ინახულა ესსენი, ბოხუმი და დორტმუნდი, მცხოვრებლებთან საუბრით დარწმუნდა, რომ რურის ოლქის მოსახლეობა მზად არის ყოველივე წინააღმდეგობა გაუწიოს ფრანგებს.

მარტო ნახშირით არ კმაყოფილდებიან.

ჰანოვერი. 6 თებერვალი. საფრანგეთის წყაროებიდან იტყობინებიან, რომ მოსალოდნელია აიკრძალოს დაკავებულ ოლქიდან გერმანიაში ნახშირის პროდუქტების შეტანაც.

ამის გამო ბერლინის გაზეთი „მონტაგ პოსტ"-ი აღნიშნავს: რურის ოლქიდან ნახშირის პროდუქტების გატანის აკრძალვა გამოიწვევს ოკუპაციის გაფართოვებას ბურპერტალიამდე.

ფრანგების რეპრესიები.

მოსკოვი. 6 თებერვალი. საფრანგეთის ექსპერტების თათბირი იხილავს ბრძანებას გერმანიის დაუკავებელ ადგილებში რურის ოლქის ნახშირის გატანის აკრძალვის შესახებ, როგორც რეპრესიების პირველ ეტაპს გერმანიის წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში თუ გერმანელები კვლავ განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას, საფრანგეთს გადაწყვეტილი აქვს დააწესოს, რურში საბაჟოების საზღვარი, შემოიღოს რეინის ოლქში ახალი ვალიუტა, გააძევოს ყველა გერმანელი მოხელეები, რომელნიც საფრანგეთის მთავრობის დადგენილებას არ შეასრულებენ და დანიშნოს მათ მაგიერ ფრანგები.

საოკუპაციო ზონის გაფართოება.

მოსკოვი. 6 თებერვალი. ფრანგები აფართოებენ საოკუპაციო ზონას. მათ ისევ დაიჭირეს ვესტფალიის—ელბერფელდის და ბარმენის მნიშვნელოვანი სამრეწველო პუნქტები. საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ბოკინკელ—რენეტ-ბარგბონის მნიშვნელოვანი რკინის გზის კვანძი. დაკავებულია აპპენვაიერი.

ფრანგები ამჟამად სრულ კონტროლს უწევენ ბადენში, ბავარიაში, შვეიცარიაში და იტალიაში გაგზავნილ ნახშირს.

რურის გარშემო

პუანკარეს განცხადება

მოსკოვი. 6 თებერვ. პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს პუანკარემ აღნიშნა, რომ საფრანგეთს სურს მხოლოდ აინაზღაუროს თავისი ზარალი და თავიდან აიცილოს ახალი თავდასხმის საშიშროება. „ჩვენ, სთქვა პუანკარემ, არავითარ დათმობაზე არ წავალთ, ხოლო თუ საჭირო იქნება, გავაძლიერებთ რეპრესიებს."

სტინესის ესსენში გამგზავრების გამო

მოსკოვი. 6 თებერვ. საფრანგეთის პარლამენტის წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ სტინესის ესსენში გამგზავრებას. მასში ხედავენ ცდას საფრანგეთის მრეწველებთან უშუალო დამოკიდებულების განახლებისათვის.

დახმარება რურის მცხოვრებთათვის

მოსკოვი. 6 თებერ. რეიხსტაგმა გადასდო 500 მილიარდი მარკა რურის და რეინის ოლქის მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

გარდინგს არ სურს ჩარევა

ჰანოვერი. 6 თებ. ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის ხალხის მოწოდების საპასუხოდ, რურის საქმეებში ამერიკის ჩარევის შესახებ, პრეზიდენტ გარდინგმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არავითარ შემთხვევაში არ გამოვა სამედიატორო მოსამართლედ ევროპის კონფლიქტში.

„ყველაფერი რიგზეა"

ლიონი. 6 თებერვ. მდგომარეობა რურში და რეინლანდში დამაკმაყოფილებელია. რეპრესიები გერმანელ მოხელეების წინააღმდეგ გრძელდება.

საფრანგეთის ჯარების მიერ ოფენბურგის და აპპენგერის სადგურის დაჭერა გამოწვეულია იმის გამო, რომ გერმანიის ხელისუფლებამ ბრძანება გასცა მატარებლების დაკავების შესახებ.

ბორდო. 6 თებერვ. დღე მშვიდათ ჩატარდა. არც ერთი ვაგონი ნახშირი არ გასულა გერმანიის დაუკავებელ ადგილებში.

ლოიდ ჯორჯის აზრი.

ნაუენი. 6 თებერვ. ლოიდ ჯორჯმა ინტერვიუში განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია არის უდიდესი შეცდომა, რომელმაც შეუძლებლად გახადა კონტრიბუციის შესრულება. და მიიყვანა მთელი ქვეყანა უდიდეს საფრთხემდე. მას არ სჯერა, რომ საფრანგეთი რურში შევიდა მხოლოდ კონტრიბუციის მისაღებად,

გერმანიის ამბები

გერმანიაში მოწოდება ამერიკისადმი.

მოსკოვი. 6 თებერვალი. გერმანიაში გამოქვეყნებულია გერმანიის თავისუფალ და ქრისტიანულ კავშირების მოწოდება ამერიკისადმი, რომელშიაც გამოთქმულია თხოვნა, რათა არ დასტოვონ უყურადღებოდ გერმანიის დამშეული მცხოვრებლები. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ამერიკა ისევე პასუხისმგებელია იმ ტანჯვისათვის, რომელსაც ამ ჟამად განიცდის გერმანია.

ნახშირი ინგლისიდან.

მოსკოვი. 6 თებერვალი. გერმანიის მრეწველება დაიკვეთეს ინგლისში ნახშირი 400,000 გირ. სტერ.

დახმარება რურის მუშებისადმი.

მოსკოვი. 6 თებერვალი. ჰოლანდიის ტრანსპორტელების და მლიბავების კავშირებმა გაუგზავნეს რურის მუშებს 240 მილიონი მარკა.

ლოზანის კონფერენცია

საზავო ხელშეკრულების ხელისმოწერისათვის.

მოსკოვი. 6 თებერვალი. 3 თებერვალს ლოზანის კონფერენციის პლენარულ სხდომაზე ოსმალოებმა უარი განაცხადეს მოკავშირეების მიერ წარდგენილ ხელშეკრულების ხელის მოწერაზე.

ძირს მენშევიკური ფეოდალიზმი

როდესაც რუსეთის რევოლიუციამ ერთჯერ და სამუდამოდ გადასაჭრელათ დააყენა საკითხი თუ ვისთან არიან საქ. მენშევიკები: სოციალისტური რევოლიუციის არმიასთან მუშებთან და გლეხებთან, თუ მათ მოსისხლე მტრებთან?—მენშევიკებმა ამ საკითხზე უპასუხეს, რომ „ისინი აძლევენ უპირატესობას დასავლეთის იმპერიალისტებს აღმოსავლეთის ფანატიკოსების წინაღმდეგ". ეს ნიშნავდა, რომ მენშევიკებმა აირჩიეს ბურჟუაზიულ-რესპუბლიკანური გზა და მას შეუფარდეს თავისი კონსტიტუცია. ამავე გზას დაადგნენ დაშნაკელები დ მუსსავატელები ამიერ-კავკასიის ორ სხვა რესპუბლიკაში. მაგრამ ეს გზა ძალიან საშიში იყო, რადგან რუსეთის პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ვაჭრებს და თავად-აზნაურებს არ შესწევთ ძალა რევოლიუციის შეჩერებისა. რუსეთის სინამდვილით თავგატეხილი მენშევიკები დარწმუნდენ, რომ მათთვის აუცილებელი საჭიროა გლეხებსა და მუშების მოტყუება. ამისათვის მთელი ერთი წლის დისკუსიის —შეხლა-შემოხლის შემდეგ, მათ გამოაცხადეს შრომის კანონები და მიწის რეფორმა, რომელთა საშუალებით მათ სურდათ როგორც პირველების, ისე მეორეთა გულის მოგება.

შრომის კანონმდებლობა გამოიხატა ე. წ. სატარიფო პალატაში, სადაც ყოველგვარ კონფლიქტს მუშებსა და მყლეფელებს შორის არჩევდა კომისია, შემდგარი მუშებისა და მრეწველებისაგან-თანასწორ წარმომადგენლებისაგან. თუ რომელიმე დარგის მუშებს სურდათ, ვთქვათ, ხელფასის მომატება, მათ ეს თავის სურვილი სათანადოთ დასაბუთებული, უნდა წარედგინათ სატარიფო პალატაში და მოეცადათ მის დადგენილებისათვის. ამ საკითხს განიხილავდა ჯერ ს. პალატის თავმჯდომარე და დანიშნავდა პრეზიდიუმის კრებას წინასწარ განსახილველად. პრეზიდიუმის შეკრებამდის გავიდოდა 2—3 კვირა. შემდეგ განიხილავდა პრეზიდიუმი და გამართავდა მოლაპარაკებას ორთავე მხარესთან (მუშებთან და მყლეფელებთან) ამ მოლაპარაკებაში გავიდოდა ორი სამი კვირა. თუ ამ გზით ვერ „მოარიგებდნენ ცხვრებს მგლებთან", შემდეგ დანიშნავდნენ საქმის განხილვას ს. პ. შემადგენლობაში აქაც გავიდოდა 3—4 კვირა და შემდეგ გამოიტანდნენ დადგენილებას, მუშებს მოემატოს 20, 50 პროც. და სხვა. რა ხდებოდა აქ? ვთქვათ ვინმე ბოზარჯიანცის თუთუნის ფაბრიკის მუშებმა მოითხოვეს ხელფასის 100 პროც. მომატება 1 აპრილის 1919 წელს ცხოვრების გაძვირების გამო. ეს საქმე ირჩევა ორი ან სამი თვის განმავლობაში. ამ დროს განმავლობაში ბაზარზე ფასები იზრდება 100 პროც. ან 200 პროც. (კერძოთ, რასაკვირველია თუთუნის პროდუქტებზედაც) და ამის შემდეგ უმატებდნენ მუშებს წინანდელ ხელფასზე 50 პროც. ან 100 პროც. რას ნაშნავს ეს თუ არ მოტყუებას—თვალების ახვევას?

იყო ასეთი შემთხვევებიც, როცა მრეწველები მეტს აძლევდენ მუშებს, ვიდრე სატარიფო პალატა..

მაგრამ ყველაზე უფრო სამარცხვინოდ გადიჭრა მიწის საკითხი.

მენშევიკებმა მიწის საკითხი დააყენეს დღიდან თავისი გაბატონებისა საქართველოში და ამაზე მათმა გაზეთმა, „ერთობამ" შეატყობინა საქართველოს გლეხებს დიდის დაპირებით, ხოლო თავად-აზნაურებს თითქოს დიდის მუქარით. სწორეთ ერთი წლის განმავლობაში მიწის საკითხი ირჩეოდა ჯერ ამიერ კავკასიის სეიმში და მერმე საქართველოს დამფუძნებელ კრებაში. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა თავად-აზნაურებმა უკვე გაატარეს „მიწის რეფორმა"; მრავალმა გაჰყიდა მიწა უკანა რიცხვებით—ფარულათ და მენშევიკების ჩინოვნიკების მოქრთამვით. ეს მიწები შეიძინეს, რასაკვირველია სოფლის შეძლებულმა გლეხებმა და ვაჭრებმა. მრავალ თავადებმა მოძებნეს თავისი ძველი გაკოტრებული ნათესავები, თბილისის ქუჩებზე მოხეტიალე თავადები, რომლებიც ოდესღაც მემამულეები იყვნენ, მაგრამ „ნუნუას" და ბანქოს შეეჩვიენ და ყოველივე გაფლანგეს, ხოლო მენშევიკების „მანიფესტის" ძალით ისევ მემამულეები გახდენ. თავადებმა იფიქრეს, თუ კი უნდა წაგვერთვას მიწა, ბარემ ჩვენმავე ნათესავმა თავადებმა წაიღონ: ამით უფრო ვისარგებლებთო და, იპოვეს რა სინოდალურ კანტორის არქივში ნათესავების დოკუმენტები, თავისი მიწები მისცეს ისევ თავადებს. იყო ასეთი შემთხვევებიც, როდესაც ცოლი და ქმარი გაიყარნენ, ამ მათ „გაეცალნენ" თითქოს შვილები და ყველამ თითო ნორმა მიიღო. კახეთში დედ-მამას გაეყო ერთი ორი წლის ბავშვი და „მოისურვა" ცალკე ცხოვრება, რათა ნორმის მფლობელი გამხდარიყო. მაშასადამე მიწის კანონის გამოქვეყნების დროს ჩამოსართმევი მიწა ძალიან ცოტა დარჩა და ისიც უვარგისი ბუჩქნარი და კლდეები. ამიტომაც მენშევიკებისაგან მიწა გლეხებს არ მიუღიათ და თუ მიიღეს მხოლოდ მდიდარმა გლეხებმა ქრთამებით.

მენშევიკებს არც აინტერესებდათ გლეხებისათვის მიწის დარიგება. მათ უნდოდათ მხოლოდ მათი ჩათრევა, მოტყუება. საქართველოს გლეხობამ მენშევიკების „მიწის კანონს" აჯანყებით უპასუხა: რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, იმერეთში, ქართლში (გორის მაზრაში), დუშეთისა და სიღნაღის მაზრებში. აქ აჯანყებული გლეხები მოითხოვდენ მიწას და მის დამრიგებელ მთავრობის—მუშურ-გლეხურ საბჭოების შექმნას. მენშევიკებმა მათ მისცეს მიწის მაგიერ ცეცხლი და მახვილი, შეადგინეს სპეციალური რაზმები: ძველი ოფიცრების და თავადების მეთაურობით და აჯანყების მონაწილეთა უმეტესობა დახვრიტეს. დამარცხდენ აჯანყებული გლეხები და ამ დამარცხებასთან ერთად მოისპო თავადობის ექსპროპრიაციისა და მიწის მიღების იმედი მათთვის. სოფლებში გლეხები ამბობდენ: „არა შენი ჭირიმე, რა მთავრობაც უნდა დადგეს, თავადები ისევ ბატონები იქნებიან, მაგათ ვერავინ მოგვაშორებს გარდა ჩვენი თავისაო". ამის შემდეგ დაიწყო ამა თუ იმ კუთხეში თავადების რბევა (ქართლში, კახეთში, იმერეთში და სხვაგან), მაგრამ ასეთი „თავხედი გლეხები" მენშევიკებმა სოფელს მოაშორეს; შემდეგ დაიწყო თავადების ძველი ვაკხანალია. ქართლის თავადებმა ერთ ბაგრატიონის მეთაურობით მოინდომეს შავი რაზმის შედგენა და გლეხებისთვის სამი წლის ღალის გადაპდევინება 1918 წელს ზაფხულზე. ეს ყველას ახსოვს, აგრეთვე ყველამ იცის ისიც, რომ ეს ხდებოდა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრის--რამიშვილის--ნებართვით. მაგრამ გორის მაზრის გლეხობამ აქ ველარ დასთმო და ენერგიულათ მოითხოვა ამ უსინდისო ქცევის ლიკვიდაცია. მენშევიკებმა ის თავადები მაშინ ხალხის შესახედავათ დაიჭირეს, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ გამოუშვეს და თანახმად გერმანიის საოკუპაციო ჯარის მთავარ სარდლის —ფონ. კრესსის ბრძანებისა, მათ ფულათ მისცეს სამი წლის ღალის საფასური ოცი მილიონი მანეთი. ამის შესახებ იმ ხანებში ბევრი რამ იწერებოდა სხვა და სხვა პარტიების გაზეთებში თბილისში. ამ რიგად სოფლად კვლავ იმხუვლა თავადის მათრახმა, გაიზარდა მემამულეების გავლენა. მხოლოდ „თავხედი" გლეხები არღვევდენ ხოლმე სიწყნარეს აქა თუ იქ განსაკუთრებულ შემთხვევებში (გორის მაზრაში ამოხოცეს ციციშვილები, გორში მოკლეს დ. წერეთელი და სხვა).

ისტორიამ ბარგი აუკრა მენშევიკების მაჭანკლობას და მართვა გამგეობა მუშურ-გლეხურ საბჭოებს ჩააბარა, შეიქნა სოფლად გლეხების საბჭოები და გადავიდა მათ ხელში საქართველოს ბედ-იღბალი. მუშები და გლეხები შეუდგენ აღმშენებლობითი მუშაობას. მრავალი მაზრებში წამოჭიმეს სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, კლუბები, თეატრები, გააკეთეს გზები, ხიდები (მენშევიკებისაგან აფეთქებული და დანგრეული). მოაწყვეს ხელისუფლება: მილიცია, რევკომები და აღმასკომები, სასამართლო, მრეწველობა-მეურნეობა და სხვა. შეუდგენ საბჭოთა ხელისუფლების კანონების ცხოვრებაში გატარებას. მარტო ის ფაქტი რისი დამამტკიცებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეკრიბა ასი პროცენტი სასურსათო გადასახადისა აღმ. საქართველოში (ბიულეტენის ცნობით ასევე სწრაფად გროვდება დასავლ. საქართველოში) სრულიად უმტკივნეულოთ.

ამავე დროს რას აკეთებენ ძველი თავადები მენშევიკბეის დახმარებით.

კახეთში ისინი აწყობდენ აჯანყება-ყაჩაღობას ამ წელიწად ნახევრის განმავლობაში. მათ შექნეს ჩოლოყაშვილის ბრბო, ასაზრდოვებდენ მას ერთი წლის განმავლობაში; ხოლო როცა კახეთის გლეხებმა ყანებში მუშაობა დაამთავრეს და შეუდგენ ამ ბრბოს ლიკვიდაციას, მაშინ თავადებმა თავისი ბნელი ძალა ხევსურეთისაკენ აფრინეს. ხევსურეთი ისეთი კუთხეა საქართველოსი, სადაც ძველად ბატონ-ყმობა არ ყოფილა და ამიტომ ხევსურებს, აქამდე ვერ შეუგნიათ „თავადების ღირსება". ამ კუთხეში ჯერ კიდევ ძველი ნატურალური წარმოება და თემური-პატრიარქალური მმართველობა არის. ამ კუთხეში მოაწყვეს „აჯანყება" და მოითხოვდნენ „დემოკრატიულ რესპუბლიკანურ მმართველობას".

დღეს უკვე დამტკიცებულია ყოველივე საბუთებით, რომ ეს ქართველი თავადების და მენშევიკების ოინები იყო და არის. არავითარი სხვა ნიადაგი, ლოზუნგი ან შინაარსი ამ ბანდიტურ გამოსვლებს არ ჰქონია.

როდესაც გლეხები უკანასკნელ კაპეიკებს აგროვებენ ნებაყოფლობით, რათა სკოლები, კლუბები, თეატრები და სხვა საზოგადო კულტურული დაწესებულებები შექმნან ქართლის და იმერეთის თავადები სცხოვრობენ თავის სასახლეებში და ერთ ოთახსაც არ უთმობენ ამ დაწესებულებათათვის; პირიქით თუ სადმე გაბედა ადგილობრივმა ხელისუფლებამ მათი შემჭიდროება, მაშინვე საჩივრები მოდის თბილისში. ამ ხანად საქ. საგ. კომისიაში ბრძანდება რამოდენიმე თავადი, რომლებიც ფარავდენ სხვა და სხვა ყაჩაღებს და ავაზაკებს „დემოკრატიზმის" დროშის ქვეშ მცარცველებს და სოფლის გლეხობის ამწიოკებლებს; ზოგს დამტკიცებული აქვს, რომ ეწეოდნენ პროპაგანდას სასურსათო გადასახადის ჩაბარების წინააღმდეგ. ეს თავადებ თვითონ გლეხებმა დაიჭირეს და წარმოუდგინეს მთავრობას (მაგ. საჩხერის რაიონში).

დღეს თითქმის ყველა თავადები „მიწის მუშები" გახდნენ, რადგან მიწის ნორმა რჩება მხოლოდ მას, ვინც მიწას თვითონ მუშაობს. მაგრამ რადგან მოჯამაგირის დაქირავების ნება არავის წაურთმევია მათთვის, ამიტომ მიწას ფაქტიურად მოჯამაგირე მუშაობს. მერმე კიდევ ჩვენ თავადებს ძალიან ბევრი ნათლი-მამები ჰყავთ გლეხების წრიდან სოფლად. თითო დღეს ყოველ მათგანს მოიხმარენ, რასაკვირველია „ნებაყოფლობით" და ამრიგად თავისი „ნორმა" დასამუშავებლად არც კი ჰყოფნით. ფაქტიურად არც ერთი თავადი მიწას არ იმუშავებს, ის მხოლოდ ეჩვენება ხალხს თოხით მხარზე გადებული.

მათ ბევრგან დღემდე შეინარჩუნეს თავისი დიდი ამულები: ვენახები, ბაღები, ბოსტნები და სხვა და ეს იმ დროს, როდესაც ზემო იმერეთში საშუალოდ გლეხს არ ექნება ნახევარი დესეტინა, მათ აქვთ ხუთი, ათი და მეტიც. მაგალითად საჩხერის რაიონში არც ერთ თავადისთვის არ ჩამოურთმევიათ არც ერთი ძირი ვენახი, თუმცა თითოეული ძირი გლეხების სისხლზე და ოფლზეა ამოსული. ისინი ამ ვენახებს „ნათლი-მამების" და მოჯამაგირის ხელით ამუშავებენ, ან აძლევენ გლეხებს იჯარით ფარულად და მოტყუებით. არც ერთ თავადს—განსაკუთრებით იმერეთში არავითარი აგრი-კულტურა არ შემოუტანია სოფელში; ხოლო მათი მამულები კი რომ გლეხების ხელში ყოფილიყო აქამდე საქართველოს მაზრები აგრონომიულ მეცნიერების წყაროებად გადიქცეოდა. იმავე საჩხერის რაიონში ღარიბმა ჩიხელმა გლეხებმა შესძლეს მევენახეობის კულტურის შექმნა. მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ თავადები ახდენენ ადგილობრივ ხელისუფლების ზოგიერთ მუშაკებზე გავლენას, პასიურს მაინც. ამის მაგალითები მრავალი გვაქვს, მაგრამ ყველას მოყვანა არ არის შესაძლებელი. დაბა საჩხერეში მიწის ამზომმა კომისიამ ფრიდონ წერეთელს „ნორმაში" (რომელშიაც ორი ნორმა გამოიჭრება) მიუზომა ადგილი, რომელშიაც იყო და არის ტყავის ქარხანა—საჩხერელი ვაჭრების ამხანაგობისა. ფრიდონ წერეთელი ამ ადგილიდან ასეულ მილიონებს იღებს იჯარის სახით. ამ რამოდენიმე ხნის წინად მან მოისურვა ქარხნის პატრონებისაგან იჯარის მომატება, მაგრამ ისინი არ დასთანხმდენ. ფრიდონ წერეთელს შეაქვს საჩივარი 200 თუ 300 მილ. მანეთისა საჩხერის სახალხო სასამართლოში და, როდესაც მას სთხოვენ შეიტანოს საღერბო გადასახადი, ის ადგენს სიღარიბის მოწმობას საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლებისათვის. ვინ მისცა მას ეს მოწმობა? საჩხერის თემის აღმასკომმა. რატომ? იმიტომ, რომ „მან მოსვენება აღარ მისცა ამ აღმასკომს", როგორც აცხადებს აღმასკომის მდივანი.

ქართველი მეფეების „მემკვიდრე ბატონიშვილი" სცხოვრობს შორაპნის მაზრაში თავის სასახლეებში და თავს ძალიან კარგად გრძნობს: ვერავინ ვერაფერი ვერ ჩამოართვა მას. რატომ? იმიტომ, რომ ზოგიერთი გავლენიანი პირები ეხმარებიან ამ უგვირგვინო „ბრწყინვალე თავადს".

საჩხერის აღმასკომი გრძელ მანდატებს აძლევს ერთ თავადს, რომელიც ეხლა ციხეში ზის. მანდატის შინაარსი ასეთი: ამის წარმომდგენი გიორგი წერეთელი არის საჩხერის სასურკოოპის წარმომადგენელი, რომელიც იგზავნება სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში აღნიშნულ აღმასკომისათვის სიმინდისა, ლობიოსა და სხვა სანოვაგეთა შესაძენად. ადგილობრივ აღმასკომებს ვთხოვთ აღმოუჩინონ მას ყოველივე დახმარება: ამ მანდატით ის სპეკულიაციას ეწეოდა ხეთაში ერთ თვეზე მეტს. ასეთ მანდატებს თავადები ღებულობდენ ხშირათ. ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ, რომ თავადებს შერჩათ თავის ქონება, ცოდნა გამოქნილება, დიდი ნაცნობობა; რითაც ყოველგვარ უხერხულობას აშორებენ თავს. ამ რიგად ისინი გლეხების თვალში ყოვლის შემძლეთ დარჩენ. ამავე საჩხერის რაიონში იმავე თავადების წყალობით არა ერთი კომუნისტი გაილანძლა და მოშორდა პარტიას. თავადებს სოფლებში ისევ „კნიაზებს" უწოდებენ ძველებურად. აბა გაბედოს გლეხმა და უთხრას „ამხანაგო ფრიდონ", იმას მათრახის ცემით თუ არა დედის გინებით მაინც გაუმასპინძლდება „შეურაცყოფილი თავადი".

როგორი კაციც უნდა ამოირჩიოს სოფლის თემის თავმჯდომარეთ ის ორში ერთ გზას ვერ ასცდება: ან უნდა გაუწიოს ყოველივე სამსახური თავადებს (რაც ზევით ჩამოვთვალე) ან მას ისეთს რამეს მოუწყობენ, რომ სიცოცხლეს მოუწამლავენ. ასეთი გახლავთ ძველი გამოქნილი „კნიაზი" სოფლის „მუჟიკებთან" შედარებით. ხოლო ნასწავლებს და გამოცდილებს ძველ რევოლიუციონერებს და მარქსისტებს გლეხებში ძნელად თუ სადმე ვნახავთ ეხლა სოფლებში. სად არის აქ გამოსავალი, როგორ დავიხსნათ სოფლის გლეხები თავადებისაგან?

მენშევიკები ამ საკითხს თავის პარტიული ინტერესებით უყურებენ.

მათთვის საჭირო იყო გლეხების ჩათრევა პარტიული ბატონობის შესანარჩუნებლათ, ხოლო მეორე მხრით თავადების სოფლად არსებობა. მათთვის საჭირო იყო კლასებთა შორის არსებული განსხვავების შენახვა. თუ თავადები მოინდომებდენ მათ ჩამოგდებას—ისინი ეტყოდენ გლეხებს, აბა გვიშველეთ თქვენ მთავრობას ებრძვიანო. ხოლო როცა გლეხები მიხვდნენ მენშევიკებისაგან მოტყუებას და დაიწყეს აჯანყება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში: მათ მიუსიეს თავადები, აზნაურებაო, ოფიცრები და სხვა (საჩხერეში წერეთლები, აბაშიძეები). მენშევიკებმა იცოდენ, რომ რა დღესაც სოფელს მოშორდებიან ძველი თავადები და აზნაურები, იმავე დღეს გაიმარჯვებს ბოლშევიკური იდეა და შეიქნება გლეხების და მუშების საბჭოები. ამიტომ ისინი ინახავდენ ამ მუშურ-გლეხურ იდეა—ხელისუფლების ანტიპოდებს: თავადებს, აზნაურებს, მღვდლებს და სხვებს.

საბჭოთა ხელისუფლება მუშებისა და გლეხების კლასობრივი ხელისუფლება არის. მას სურს შრომის იდეა ედოს პრინციპად რესპუბლიკის რეჟიმს. ხოლო ამ იდეის გაბატონებას ჩვენში ხელს უშლის თავად-აზნაურების ბატონ-ყმური და მონური იდეა. სოფლად ამ ორ იდეის შორის ბრძოლა სწარმოებს, მაგრამ რადგან თავად-აზნაურობა, მღვდლები და მათი შვილები ნასწავლები არიან, ხოლო გლეხობა კი სიბნელე-მონობის ქერქიდან გუშინ გამოსული, ჯერ კიდევ ვერ არის ცოდნით შეიარაღებული საკმარისად, ამიტომ შრომის იდეის მოწინააღმდეგენი ჯერჯერობით თავს დაუმარცხებლათ გრძნობენ. მართალია, ძველი ფეოდალური იდეა წავიდა, მაგრამ ის არ მომკვდარა, მან მიიღო მენშევიკური ყვითელი ფეოდალური სახე. მისი დახასიათება შეიძლება ასე: ფეოდალიზმი წავიდა, ხოლო ფეოდალები თავის მამულებით, ყვითელი ფსიხოლოხიით და გავლენით ზოგან დარჩენ. რომელმა რევოლიუციამ უნდა მოუღოს ამას ბოლო? მხოლოდ დღევანდელმა პროლეტარულმა რევოლიუციამ. ფეოდალიზმი უნდა დაიმარხოს მატერიალურად, მორალურად დღესვე. უნდა მოუღოთ ბოლო სოფლად თავადების თარეშს და ავხადოთ გლეხს უკანასკნელი არამკითხე ოპეკუნი. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ გასწმინდა მთელი გუბერნიები თავად-აზნაურისაგან. არც ერთა ათი-თორმეტი წლის ბავშმა არ იცის თუ რას ჰქვიან თავადი (ასეთი ანკეტები შეგროვილი იყო მოსკოვის გუბერნიაში ამ რამოდენიმე თვის წინად სოფლის სასწავლებლებში). ჩვენში კი ყოველი სოფელი სავსეა თავადებით. მათი სოფლიდან მოშორება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მათ ხელს ავალებინებთ თავის მამულებზე და სასახლეებზე. სხვა გზა არ არის. ხოლო რომელი მათგანიც მართლა და გულიანად ეწევა მუშაობას შეიძლება მას დარჩეს კანონიერი ნორმა. ასეთები წინადაც ეწეოდენ მუშაობას. ხოლო ისინი კი, ვინც გუშინწინ შეუკვეთა მჭედელს ერთ გირვანქიანი თხელი თოხი იმიტომ კი არა, რომ თოხნოს, არამედ იმიტომ, რომ ხალხს აჩვენოს შემომხედე „ვთოხნიო" იმათი მიწის მუშებად ჩარიცხვა არ შეიძლება.

ერთმა „კნიაზმა" ამას წინედ ერთ საზოგადოებაში სრულის დაბეჯითებით განაცხადა: „მიწა წამართვით, მაგრამ თავადობას ვერ წამართმევთო, მე თავადათ ვარ დაბადებულიო. ასეთია ახალი „ამხანაგი კნიაზების" (მათ სოფლად უძახიან: „ამხანაგო კნიაზო" ან კიდევ „კნიაზ ფრიდონ" და სხვა) ფსიხოლოგია.

ი. ტ.

ოსმალოებმა კატეგორიულათ გაილაშქრეს უცხოელთა პრივილეგიების წინააღმდეგ და მტკიცეთ მოითხოვდენ ბერძნების მხრით სარეპ. ხარჯების გადახდის. ოსმალოები დათანხმდენ მოსულის საკითხის ერთა ლიგის განსახილველათ გადაცემაზე, ხოლო იმ პირობით თუ მოსულში ერთი წლის განმავლობაში დაცული იქნება ახლანდელი მდგომარეობა.

2 საათის უნაყოფო კამათის შემდეგ ინგლისელმა დელეგაციამ სხდომა დასტოვა.

5 თებერვალს ლოზანიდან მიემგზავრება კერზონი.

ლოზანიდან მოსულ ცნობებით მოკავშირეები უკანასკნელ წუთს ცდილობდენ არსებითად დაეთმოთ ოსმალოებისათვის ჰალიპოლის და აღმოსავლეთ ფრაკიის საკითხების ირგვლივ, მაგრამ ამან არ იქონია გავლენა ოსმალეთის დელეგაციის გადაწყვეტილებაზე.

სტამბოლისაკენ მოიმართება 8 ინგლისელი კრეისერი.

საფრანგეთი აფრთხილებს.

ლონდონი, 6 თებერვალი. საფრანგეთის მთავრობამ მიუთითა ინგლისის მთავრობას კონფერენციის გადადების აუცილებლობაზე, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ისმეტ ფაშა მიიღებს ახალ კომპრომისს. იმავე დღეს საფრანგეთის მთავრობამ მეტად მნიშვნელოვანი გაფრთხილება მისცა ინგლისის მთავრობას, მიუთითა რა კონფერენციის ჩაშლის გამო შექმნილ კრიზისულ მდგომარეობაზე, საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს, რათა ოსმალეთს გაეგზავნოს საერთო ნოტა, განცხადებით, რომ მოკავშირები ლოზანას კონფერენციის ჩაშლას არ თვლიან საზავო მოლაპარაკების შეწყვეტათ. „დეილი მეილი" სთვლის ამ განადადებას ნაბიჯად საზავო მოლაპარაკების განახლებისა და იმ მდგომარეობის შემსუბუქებისაკენ, რომელიც ევროპაში შექმნა ლოზანას კონფერენციის ჩაშლამ. საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში არსებობს აზრი, რომ ლოზანას კონფერენციის ჩაშლა არ გამოიწვევს დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტას. „დეილი-მეილის" ცნობით ისმეტ ფაშას ჰქონდა მნიშვნელოვანი თათბირი ჩიჩერინთან და აგრეთვე შეერთებულ შტატების წარმომადგენელთან ჩაილდთან.

სრუტების მომწესრიგებელი კომისიის სხდომა.

მოსკოვი. 6 თებერვალი. სრუტეების მომწესრიგებელ კომისიის სხდომაზე ჩიჩერინმა თავის ბრწყინვალე სიტყვაში დაამტკიცა არა კეთილსინდისიერი საქციელი კერზონისა, რომელმაც ჩამოაშორა რუსეთი სრუტეების საკითხის განხილვისაგან და რომელსაც ეხლა სურს თავზე მოახვიოს რუსეთს ისეთი შეთანხმება, რომელსაც დამღუპველი გავლენა ექნება რუსეთის საარსებო ინტერესებზე.

ჩიჩერინმა განაცხადა, რომ რუსეთი არ მოაწერს ხელს ხელშეკრულებაზე სრუტეების შესახებ და დაიტოვებს მოქმედების თავისუფლებას.

მოკავშირეების მოლაპარაკება ოსმალოებთან.

მოსკოვი. 6 თებ. უკანასკნელ ხანს მოკავშირეები და ოსმალოები განუწყვეტლივ თათბირობენ. მოკავშირეთა დელეგატები დიდხანს თათბირობდენ ოსმალეთისადმი შესაძლებელ დათმობის საკითხის შესახებ. შესაძლებელია, რომ მოკავშირეები ნახევრად ოფიციალურ მოლაპარაკების დროს შეეცდებიან საბოლოო ფორმაში ჩამოასხან ხელშეკრულება სრუტეების შესახებ.

ბალკანეთის ქვეყნების სოლიდარობა რუსეთთან.

მოსკოვი, 6 თებ. ზოგიერთი ბალკანეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ვერ გაბედეს კერზონის წინააღმდეგ გამოსვლა, სხდომის შემდეგ ჩიჩერინს თავისი სოლიდარობა განუცხადეს.

ისმეტ-ფაშის განცხადება.

ჰანოვერი. 6 თებერვალი. ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ კონფერენციის ჩაშლის მიზეზად ასახელებენ მხოლოდ ოსმალეთში უცხოელების მფარველობის საკითხს. ფაქტიურად კი კონფერენცია ჩაიშალა ეკონომიურ საკითხების გამო, რომლებითაც სურდათ ოსმალეთის სრული დამონება.

კონფერენციის ჩაშლა.

ბორდო., 6 თებერვალი. მიუხედავად ახალი დათმობისა, ოსმალებმა უარი სთქვეს ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას, რამაც გამოიწვია კონფერენციის ჩაშლა. ოსმალეთის დელეგაციამ განუცხადა, რომ მას არ შეუძლია მიიღოს საზავო ხელშეკრულების საფინანსო და იურიდიული მუხლები.

ბომპარი ორშაბათს ღამით ჩავიდა პარიზში და მოხსენება გაუკეთა საფრანგეთის მთავრობას კონფერენციის ჩაშლის გამო შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

ლორდ კერზონი უარს ამბობს პრესისათვის ცნობის მიცემაზე.

ლიფფილდი, 6 თებერვალი. ლორდ კერზონმა უარი განაცხადა მისცეს რაიმე ცნობა პრესას საბოლოო გადაწყვეტილებამდე, რომელიც უნდა გამოიტანოს ბრიტანეთის კაბინეტმა.

ერთა ლიგა

საბერძნეთის და ალბანეთის საზღვრებში.

ლიონი. 6 თებერვ. ერთა ლიგის საბჭომ დაადგინა ალბანეთსა და საბერძნეთს შუა საზღვრების დაწესების საკითხი გადასცეს დელეგატთა კონფერენციას პარიზში.

ამერიკაში.

ჰანოვერი. 6 თებერვ. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, მიწის რხევა, რომელმაც ჩრდილოეთ ამერიკაში დაამსხვრია სეისმოგრაფების უმრავლესი რიცხვი, იყო გამოძახილი დიდი მიწის ძვრის ჰავაის კუნძულების სფეროში. დიდ შფოთვას იწვევს სენ-ფრანცისკოს ჩრდილოეთ დასავლეთით მყოფ ვულკანის გაძლიერებული მოქმედება. შემჩნეულია ვულკანების გაძლიერებული მოქმედება ალეუტის კუნძულებზე.

ევროპის კომუნისტების ცხოვრებიდან

კომუნისტური პარტიის ყრილობა ჩეხო-სლოვაკიაში.

მოსკოვი, 6 თებ. პრაგაში გაიხსნა ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ყრილობა. პარტიაში ითვლება .000 წევრი, რომლებიც იხდიან წევრო გადასახადს. წევრების საერთო რიცხვი გაცილებით მეტია. ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია საბჭოთა რუსეთისადმი სიმპატია.

ჰოლანდიის და საფრანგეთის კომუნისტური პარტია.

მოსკოვი, 6 თებ. ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ყრილობის პრეზიდიუმმა გაუგზავნა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას და შრომის ტარულ კონფედერაციას დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია აღტაცება საფრანგეთის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის შესახებ ომის საშიშროების წინააღმდეგ.

კაშენის საკითხის გამო.

მოსკოვი. 6 თებ. „ჰავასის" სააგენტოს ცნობის თანახმად, საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა წინადადება მისცა იუსტიციის მინისტრს გადასდონ კაშენის პროცესი, რათა არ გართულდეს ამის გამო დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა.

კომუნისტების დევნა იტალიაში.

მოსკოვი. 6 თებ. ტრიესტში პოლიციამ დააპატიმრა კომუნისტური გაზეთის „ილ ლავარე"-ს ორი რედაქტორი და ექვსი თანამშრომელი.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე.

მოსკოვი, 6 თებ. გერმანიის კომუნისტური პარტიის ლეიპციგის ყრილობაზე ბრანდლერმა ერთიან ფრონტის და მუშათა მთავრობის საკითხის შესახებ სთქვა: კომუნისტური პარტია მოუწოდებს მასსას ბურჟუაზიის ჩამოგდების და მუშათა მთავრობის შექმნას. თუ კი შექმნილი იქნება ასეთი მთავრობა, მაშინ რეპერაციის უღელი დაედება ბურჟუაზიას. მუშათა მთავრობა იარაღით ხელში დაიცავს მხარეს საზღვარგარეთელ ბურჟუაზიისაგან.

სხვადასხვა ამბები

სარეპარაციო გადასახადები.

მოსკოვი. 6 თებერვალი. საფრანგეთის პრესაში გაჩნდა ცნობა სარეპარაციო კომისიისათვის გადაცემულ გერმანიის ნოტის შესახებ, რომელშიაც არის განცხადება სარეპარაციო გადასახადის შესრულების შესახებ, თუ საფრანგეთის ჯარები გაანთავისუფლებენ რურს.

ეგვიპტე.

ლონდონი. 6 თებერვალი. „ტანი" იუწყება, რომ გენერალმა ალლენბიმ [illegible] ეგვიპტის კონსტიტუციის სუდანის მიმართ და მისი ტექსტი ლონდონში გაგზავნა.

ბოლგარეთი.

თავდასხმა სტამბულინსკიზე.

ბორდო. 6 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ სოფიაში ნაციონალურ თეატრში წარმოდგენის დროს ყუმბარა ესროლეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტამბულინსკის. ყუმბარა გასკდა, მაგრამ არავინ არ დაზიანებულა. მსხვერპლი არ არის.

საბერძნეთი.

პარიზი. 6 თებერვალი. ლოზანას კონფერენციის ჩაშლამ გამოიწვია სენსაცია საბერძნეთში. მინისტრთა საბჭო შეიკრიბა სპეციალურად შექმნილ მდგომარეობის განსახილველად.

იტალია.

კომუნისტების დევნა.

რომი. 6 თებერვალი. მანიფესტის აღმოჩენის გამო, რომელშიაც მესამე კომინტერნი მოუწოდებს ფაშიზმის წინააღმდეგ, ყველა ქალაქების პოლიცია აწარმოებს სასტიკ ჩხრეკას.

პერუჯიაში დაპატიმრებულია 19 კომუნისტი.

ნეაპოლში დაპატიმრებულია ტექნიკუმის პროფესორი და მრავალი მუშები.

ვენეციაში მოხდა მრავალი ჩხრეკა და დაპატიმრებანი. დახურეს კომუნისტების სტამბა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სიმშილობა ყირიმში.

მოსკოვი. 6 თებერვალი. სიმშილობა ევპატორიის ოლქში ძლიერდება. ხუთ სოფელში (დამახინჯებულია) ხალხი მხოლოთ სუროგატებით იკვებება. არ არის საკმაო დახმარება. ოლქში 3,500 უსახლკარო ბავშვია. ამ რიცხვიდან საბავშვო სახლებში მხოლოთ 1350 ბავშვია.

გლეხების და ყაზახების კონფერენცია.

მოსკოვი. 6 თებერვალი. მთელს დონის ოლქში იყო ჩატარებული გლეხთა და ყაზახების უპარტიო კონფერენციები. მუშაობის შედეგების აღსანიშნავათ მოწვეულია ყაზახების საოლქო ყრილობა.

დახმარება ბავშვებს.

სიმფეროპოლი. 28 იანვარი. უკრაინის წითელ ჯვარმა კერჩის ოლქში თავის თავზე აიღო 10,000 ბავშვის კვება. ცენტრი ბავშვების საკვებათ აგზავნის ყირიმში 200,000 ფუთ ჰვავს. ორგანიზაცია „ჯოინ" ყირიმში სიმშილის დამხმარე კომიტეტის ც. კ-ს. 10,000 დოლარს უგზავნის საბავშვო სახლების რემონტის საჭიროებისათვის. ამ თანხიდან 1,000 დოლარი უკვე მიღებულია.

შრომის დაცვა.

სიმფეროპოლი. 28 იანვარი. ყირიმის შრომის სახ. კომისარმა შუამდგომლობა აღძრა იუსტიციის სახ. კომისრის წინაშე, რათა უკანასკნელმა ნება დართოს მოწყობილ იქნეს სახალხო სასამართლოების სპეციალური სესსიები შრომის დაცვის საქმეების გასარჩევათ საოლქო პროფ-ბიუროსა და შრომის განყოფილების წარმომადგენლების აუცილებელი თანდასწრებით ყველა დანარჩენ ქალაქებში.

ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდა.

მოსკოვი. 6 თებერვალი. რიაზანში გაძლიერდა ანტი-რელიგიური ლიტერატურის მოთხოვნილება. ანტისარწმუნოებრივი შინაარსის წიგნები მაღაზიებიდან დიდი ხალისით მიაქვთ. კომუნამ „კრასნოე ზნამიამ", რომელსაც 200 კაცზე მეტი წევრი ჰყავს, უარი განაცხადა რელიგიურ ჩვეულებებსა და ცერემონიებზე. მკვდრებს უმღვდლოთ მარხავენ. ამავე დროს დიდი გულის-ყურით ეკიდებიან საერთო განათლებასა, პოლიტიკურ და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათ.

ნავთის წარმოება.

მოსკოვი. 6 თებერვალი. ლონდონიდან ნოვოროსიისკში მოსულმა გემმა გროზნოს ნავთის წარმოებისთვის მოიტანა 10 ნავთის ამოსაქაჩი, 18 ორთქლის მანქანა და ნავთის წარმოებისთვის სხვა საჭირო იარაღები.

გაზაფხულის თესვის კამპანია.

მოსკოვი. 6 თებერვალი. ცარიცინის გუბერნიაში დაიწყო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა გაზაფხულზე თესვის დასაწყებად. გაზაფხულს სანეულო გეგმით განზრახულია 1,125,000 დესიატინის მოხვნა, ნაცვლად შარშანდელი 700,000 დეს. სახელმწიფოსაგან თესლის სახით გაცემულს 600,000 ფუთი სესხი სავსებით უზრუნველჰყოფს განზრახულ დასათეს ყანებს თესლით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბორჯომი.

თოვლი. ზამთრის დასაწყისიდან დღემდე ბორჯომის რაიონში სრულიად არ იყო თოვლი და მხოლოდ 27 იანვრის წინაღამეს ზამთარმა თავისი ძალა გამოიჩინა: არშინზე არა ნაკლები თოვლი მოვიდა. ზოგიერთ ქუჩაზე ძნელი იყო გავლა დაგროვილ თოვლის გამო. თოვლის მოსვლის შემდეგ ყველას გაუცოცხლდა პურის კარგი მოსვლის იმედი.

ოქტომბრის რევოლიუციის კლუბი.

მინერალურ წყლების ბაღში მყოფი თეატრი წარსულ ზაფხულის წყალდიდობამ დაანგრია და მას შემდეგ ბორჯომს სათეატრო შენობა არ ქონდა. ადგილობრივმა აღმასკომმა შესაფერი შენობის მრავალი ძიების შემდეგ დაადგინა ახლათ შეკეთდეს საზოგადო საკრებულოს ყოფილი შენობა. მუშაობა გაცემულ იქნა იჯარით, მაგრამ საქმე მეტათ გაგრძელდა და მაშინ თვით აღმასკომმა შეუდგა სამეურნეო საშვალებით შენობის რემონტს. ოქტომბრის რევოლიუციის მე-5 წლის თავისთვის, როგორც იყო განზრახული, მუშაობა არ დამთავრდა, მაგრამ შენობა მზათ იყო 1 იანვრისთვის. ეს შენობა, რომელსაც დაერქვა ოქტომბრის რევოლიუციის კლუბი, გახსნილი იყო 31 დეკემბერს.

აღმასკომის თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ შესდგა წარმოდგენა. დადგმული იყო პიესები ქართულ, რუსულ, ბერძნულ და სომხურ ენაზე. კლუბის შენობა, რომელიც 256 მაყურებლისთვის იყო ნაანგარიშევი, სრულიად აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას, ყოველ შემთხვევაში—ზამთრისთვის. გახსნის დროიდან დადგმულია სხვა და სხვა ენაზე უკვე 10 წარმოდგენა კარგი შემოსავლით. თამაშობენ ადგილობრივი სხვა და სხვა ეროვნების ნაცად-სცენის მოყვარულთა კოლექტივები. ამ დღეებში აღმასკომმა დაადგინა ააშენოს თავისი საშვალებით ახალი თეატრი 500 კაცისთვის ოქტომბრის რევოლიუციის პარკში (ყოფილი რემმერტის პარკი). შედგენილია გეგმა, არის ნივთიერი სალსარი, არჩეულია სამეული ამ დადგენილების განსახორციელებლად.

აზერბეიჯანი.

სრულიად აზერბეიჯანის პროფ-კავშირთა ყრილობა. გაიხსნა სრულიად აზერბეიჯანის პროფ-კავშირთა მე 3-ყრილობა. დღიურ წესრიგში იყო სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა ცენტრალური კავშირის ამიერ-კავკასიის ბიუროს მოხსენება, აზერბეიჯანის პროფ-კავშირთა საბჭოს ანგარიშები, სარევიზიო კომისიის მოხსენება, ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის აზერბეიჯანელ რწმუნებულის მოხსენება; მოხსენებები მრეწველობისა და მეურნეობის მდგომარეობათა, ნავთის წარმოებისა და ვაჭრობის შესახებ, სატარიფო საკითხი, პროფ-კავშირთა საორგანიზაციო ამოცანები, საგანმანათლებლო-საკულტურო მუშაობა, კოოპერაცია, მომგებიანი სესხის ხელის შეწყობა და სხვა. არჩევნების დროს გასულ იქნა ყრილობის კომფრაქციის მიერ წამოყენებული სია. მოსმენილი იქნა სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა ცენტრალური კავშირის, ამიერ-კავკასიის ბიუროს, საქართველოს და სომხეთის პროფკავშირების, საქართველოს კომპარტიის ცეკის მისალმებანი. საპატიო წევრებად აირჩიეს ამხ.—ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ტომსკი და ლოზოვსკი, მიღებულია დადგენილება გაუგზავნონ მისალმების დეპეშები ამხ. ლენინს და საქართველოს და სომხეთის მუშებს. პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კიროვის მოხსენება გერმანიის ამბების შესახებ. მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა მხურვალე სალამს უგზავნის გერმანიის პროლეტარიატს და ამავე დროს მოუწოდებს მას მუშათა ერთიან ფრონტად დარაზმული გამოვიდეს საკუთარ ბურჟუაზიის, და ფრანგული იმპერიალიზმის მოძალადეთა წინააღმდეგ. ყრილობამ გადასდო 3,000 ოქრო რურის მუშათა დასახმარებლად. მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ამიერ-კავკასიის ბიუროს მოხსენება. ყრილობამ მოიწონა ამიერ-კავკასიის ბიუროს მოქმედება, რომელმაც შესძლო პროფესიონალური მოძრაობის სრული გაერთიანება და პროფესიონალური მუშაობის ყოველ დარგში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, ყრილობა წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის ბიუროს მომავალში ყოველი ღონე იხმაროს ამიერ-კავკასიის პროფ-კავშირების გასამტკიცებლად, მის მიღწევათა და მონაპოვართა გასაფართოვებლად და გასაძლიერებლად. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს მოქმედების შესახებ, მომხსენებელმა ამხ. კონუშკინმა აღნიშნა, რომ მრეწველობას და წარმოებას ახალ კომერციულ გზაზე გადაყვანის საკითხი და საერთოდ ძველის ახალი სტრუქტურით შეცვლა წარმატებით და უმტკივნეულოდ გადაწყდა.

კალიის საწინააღმდეგო კამპანია. როგორც აღნიშნა თავის მოხსენებაში მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატში გამართულ საუწყებათაშორისო თათბირზე ენტომოლოგმა შიდლოვსკიმ—წარსულ წელს ახასიათებს მაწეების მასსიური გამრავლება ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე. კერძოთ აზერბეიჯანის ტერიტორიაზე გაჩნდა სხვა და სხვა სახის მაწეები. მათ შორის თავისი ეკონომიური მნიშვნელობით პირველი ადგილი უჭირავს კალიას, რომელიც უმთავრესად თავმოყრილია მტკვარის და არაქსის შუა მდებარე მინდვრებში.

მუღანის და მილის ველში აღრიცხულია 75.000 დეს., კარიაგინის და კუბატლინის მაზრებში 25.000 დესეტინა, არეშკო-ნუხის მაზრაში 6.000 დესიატინა, შუშის—10.000 დესეტინა, ჯევანშირ-განჯის—22.000; გოგჩა-შემახის მაზრაში 60.000 დეს. საპარისთის ტერიტორიაზე მდინარე არაქსის მარჯვენა ნაპირების გასწვრივ საზღვრიდან თვრამეტი ვერსის სიგძეზე შენიშნულია საკმაოდ სქელი ფენები. იქ აღრიცხულია 10.000 დესეტინა ფენა. განზრახულია მთელი ველის დამუშავება ქიმიური მეთოდით ცხენის აპარატებით 37.000 დესეტინა, რანცის აპარატით 48,000 „პონომა"-ს აპარატებით 30.000 და სხვა საშუალებით 84.000. ამას გარდა მთელ რიგ მაზრებში მკალის (кузнечик) არსებობა. მკალის ფენები ხვდება კალიის ფენებთან ერთად. მუშაობის დაწვრილებითი გეგმა ფენებისა განაწილებისა და საწინააღმდეგო ბრძოლისა უკვე მუშავდება და ახლობელ დღეებში მზად იქნება. ცხენის აპარატთა რიცხვი 55 უდრის, მაგრამ ეს საკმაო არ არის და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თურქთა რესპუბლიკის მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატიდან 100 აპარატის მიღება. რესპუბლიკის განკარგულებაში მყოფი შხამი მოთხოვნილების მხოლოდ ორ მესამედს აკმაყოფილებს. 5000 ფუთი შხამის მოსკოვიდან მიღების შემდეგ, შხამის რაოდენობა სავსებით საკმაო იქნება. საღუბლო და ცხენის 55 აპარატის ქონება საშუალობას იძლევა შესასრულებელი სამუშაო 50 პროცენტით დაკმაყოფილებულ იქნეს, თუ მუშაობის დროს მინდვრებს აპარატებით მორწყვენ. მოტყუილების ხერხით ბრძოლის საწარმოებლად საჭიროა 160,000 ფუთი ქატო. ეს საშუალება თვითეული დესეტინისათვის დაჯდება 2 მანეთი ოქროთი, თითქმის ორჯერ უფრო იაფი მორწყვის ხერხზე და 5-ჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე დაწვის საშუალება. თათბირმა დაადგინა, კალიის საწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდის საკითხში ძალაში დარჩეს მომავალი კამპანიის წარმოების დროს დადგენილება, რომელიც გამოტანილია მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის 1922 წ. 22 ივლისს გამართულ თათბირზე, რაც შეეხება დაწვის ხერხის გამოყენებას, ეს საკითხი გადაეცეს დეტალური განხილვისთვის საექსპერტო კომისიას. წინადადება მიეცეს კალიის საწინააღმდეგო გამგეობას საჩქაროთ გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები მოსკოვსა და თურქესტანის რესპუბლიკაში საჭირო ფულისა და აუცილებელ აპარატების მისაღებად.

სომხეთი

ერევანი.

კომუნისტური განყოფილების მუშაობა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ორი თვის უკან მოწყობილი კომუნალური განყოფილება შეუკავშირდა ყველა სამაზრო კომუნალური განყოფილების ცენტრებს, რომლებსაც მიეცათ დირექტივები 1923 წლის საწარმოო პროგრამის და გეგმის შესახებ. დაკისრებულ ამოცანების შესრულების შემდეგ, მაზრები აძლევენ ანგარიშს ცენტრს. დაწყებულია გაზაფხულის შეკეთების („რემონტი") კომპანიის მოწყობა. სწარმოებს მოლაპარაკება სახელმწიფო ბანკთან კომუნალურ განყოფილებებისათვის სათესლე სესხის მიცემის შესახებ. არის მოლაპარაკება წარმოების მთელ რიგ სამშენებლო მუშაობაზე. შინაგან საქმეთა კომისარიატის კომუნალური განყოფილება დაუკავშირდა რ. ს. ფ. ს. რ. კომუნალური მეურნეობის მთავარ სამმართველოს სომხეთში კომუნალური მეურნეობის მოწყობის კითხვების გამო. ამის გარდა არის მთელი რიგი მუშაობა სომხეთის სხვა ქალაქებში კომუნალური მეურნეობის აღდგენისათვის.

მუშათა ცხოვრება

ძირს საფრანგეთის ოკუპანტები!

3 თებერვალს შესდგა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 98 პროც. მათი შემადგენლობისა. კრებას მოკლე სიტყვით მიმართა ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. კლდიაშვილმა, რომელმაც მკაფიოდ განმარტა საფრანგეთის მთავრობის მტაცებლური პოლიტიკა გერმანიის მშრომელ ხალხის წინააღმდეგ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რურის ოლქის ოკუპაცია უქადის გერმანიის განვითარებულ ინდუსტრიას განადგურებას და გერმანიის მუშათა კლასს კი შიმშილს. საფრანგეთის მთავრობა თავის აგრესიული პოლიტიკით ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ შეიძლება ევროპაში კვლავ აინთოს ომის ცეცხლი, რომელიც შეიწირავს მრავალ მილიონ მუშას. ამიტომ ამხ. კლდიაშვილი მოუწოდებს კრებას გამოუცხადოს მან საფრანგეთის მოძალადეებს თავისი ღრმა პროტესტი, კრება ერთხმად იღებს შემდეგ რეზოლიუციას: „მ | გ. ინსპექციის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება რურის ოკუპაციის შესახებ, აცხადებს პროტესტს საფრანგეთის ოკუპანტების წინააღმდეგ. კრება უცხადებს თავის თანაგრძნობას რურის ოლქის მუშებს, რომელნიც უშიშრად ხვდებიან ოკუპანტების რეპრესიებს და მედგრად აწარმოებენ ბრძოლას მათ წინააღმდეგ. ძირს ახალი იმპერიალისტური ომი! ძირს საფრანგეთის ოკუპანტები! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს — მესამე ინტერნაციონალს! ძირს მტაცებლური ვერსალის ზავი!"

ამის შემდეგ მუშა-მოსამსახურენი გამართენ მუშათა სასახლისაკენ საერთო საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

ინფ.-კორესპონდენტი დ. ქ.

საქონლის სადგურზე

ა. წ. პირველ თებერვალს შესდგა ტფილისის საქონლის სადგურის და მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო დაახლოებით 400 კაცი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: რურის ოლქის ოკუპაცია. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოე ლეჟავა ქართულ და რუსულ ენაზე; მომხსენებელი არკვევს საერთოდ იმპერიალისტური სახელმწიფოების ყაჩაღურ პოლიტიკას და კერძოთ იმ მდგომარეობას, რომელიც ამ ჟამად მსოფლიო პროლეტარიატის მიერ დიდ ყურადღებას იქცევს. ეს არის რურის ოლქის ოკუპაცია საფრანგეთის იმპერიალისტური მთავრობის მიერ გერმანიის პროლეტარიატი აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა ერთი მხრით საფრანგეთის თავდასხმამ და მეორე მხრით გერმანიის შეთანხმებელ-ოპორტიუნისტურ პარტიების დამღუპველ პოლიტიკამ. მომხსენებელს კრება ტაშის ცემით აჯილდოებს და ერთხმად იღებს რეზოლიუციას, რომელშიც გამოსთქვამს თავის აღშფოთებას საფრანგეთის ოკუპანტების და საერთოდ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და თანაგრძნობას უცხადებს გერმანიის პროლეტარიატს.

ძირს იმპერიალიზმი!

ძირს რურის ოლქის ოკუპანტები!

გაუმარჯოს გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს, რომლებიც ახლო მომავალში გამოსჭედენ საბჭოებს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას, მსოფლიო ოქტომბერს და მის ხელმძღვანელს, მესამე კომინტერნს!

კორ. ინფორმატ. ვ. ა.

თბილისის ელექტრო მექანიკური ქარხანა „თემქა"

კანონირსკის შეხვედრა № 25.

ამ ქარხანაში მუშების რიცხვი აღემატება 90 კაცს. მათ შორის არიან მცირე წლოვანებიც, რომლების სამუშაო დღე განისაზღვრება 6 საათით.

რამოდენიმე დღის წინეთ აქ მოწვეულ იქნა ქარხნის მუშების საერთო კრება ახალ ფაბკომის ასარჩევად. კრებას დაესწრო ყველა მუშა უკლებლად.

კრებას ხსნის ქარხკომის ყოფ. პასუხის მგებელი მდივანი, ამხ. ფირიაშვილი, რომელსაც კრება ერთხმად მადლობას უცხადებს მისი ენერგიულ მუშაობისათვის, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ქარხკომი მუდამ ცდილობდა მუშების თავის დროზე ჯამაგირით და ხვედრი ულუფით დაკმაყოფილებაზე და აგრეთვე განსაკუთრებულ შემთხვევებში მუშებს ეძლეოდათ ავანსის სახით ფულები. ამისგამო კრება ხელმეორედ ირჩევს ქარხკომის ყოფ. პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ზაქარია ფირიაშვილს იმავე თანამდებობაზე, როგორც მუშების ინტერესების დამცველს. ფაბკომის წევრებად არჩეულ არიან ამხ. მაიდერ ფრიცი, აბასაძე მიხეილ, ზიკოვი მიხეილ და გალკინი ივანე.

დასასრულ კრება ესალმება ახალ ფაბკომს და უსურვებს მას შემდეგშიც ნაყოფიერ მუშაობას. შრომის დისციპლინა და პირობები აქ მტკიცედ დაცულია და თავის სიმაღლეზე სდგას.

2 თებერვალს კომკავშირის იაჩეიკის დადგენილების თანახმად, ზოგიერთმა მუშამ ფული შემოიტანა ქარხკომში წითელ ფლოტის სასარგებლოდ და დანარჩენ მუშებმაც მხურვალე სურვილი განაცხადეს იმავე ფლოტის სასარგებლოდ იმუშაონ ორ-ორი საათი ყოველ დღე მთელ კვირის განმავლობაში.

ინფ.-კორესპ. ს. ზ.

მუშგლეხის სასადილო

(ადგილკომის საპასუხო წერილი)

გაზეთ „კომუნისტის" № 14 მოთავსებული იყო წერილი, რომელიც ეხებოდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა სასადილოს, მდებარეს რუსთაველის პროსპ. № 38. წერილის ავტორები სასადილოს ყოფილი მუშები, აღნიშნავდენ, რომ ვინაიდან სასადილოს პატრონმა მათ ჯამაგირი არ მისცა რამოდენიმე თვის განმავლობაში, მათ მიმართეს კავშირს და შემდეგ შრომის ინსპექტორს, რომელთაც სასადილო დაბეჭდეს. მაგრამ ვითომდა ინსპექციის თანამშრომელთა ადგილკომმა სასადილოს ბეჭედი ახსნა და შიგ რაც ნივთები იყო გაყიდა თავის იჯარის დასაკმაყოფილებლად და სხვა.

ამის შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილკომი აცხადებს შემდეგს:

სასადილო დაბეჭდილ იქნა 17 ნოემბერს არა შრომის ინსპექტორის, არამედ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილკომის განკარგულებით, ვინაიდან სასადილოს მოიჯარადრე მოქ. მამულაიშვილი აპირებდა შენობის სხვა პირზე გადაცემას. ოქმი სასადილოს ალბეჭდის შესახებ შეადგინა მე-2 უბნის სამილიციო სამმართველოს თანამშრომელმა ჯალალოვმა და ინახება მე-2 უბნის კომისარიატში და ადგილკომში.

სასადილოს ნივთების უმრავლესობა ეკუთვნოდა ინსპექციას და მოიჯარადრე მამულაიშვილის ქონების ღირებულება არ აღემატებოდა შვიდ მილიონ მანეთს, რაც ჩამორთმეულ იქნა მისგან ხელშეკრულების დარღვევის გამო, რომლის ძალით მან უნდა გადაიხადოს, ადგილკომის სასარგებლოდ 50,000,000 მან.

ამრიგად წამოყენებული ბრალდება ვითომდა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილკომმა თვითნებობით ახსნა ბეჭედი, აგებულია გაუგებრობაზე და არ შეიცავს სიმართლეს.

ადგილკომი.

პარტიული ცხოვრება

საქონლის სადგურის კომუჯრედში

2 თებერვალს შესდგა საქონლის სადგურის კომუჯრედის ღია სხდომა. კრებას დაესწრო ყველა წევრები, კანდიდატები და კომპარტიის თანამგრძნობი მუშები ას კაცამდე. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: წითელი ფლოტი და რურის ოლქის საპროტესტო დემონსტრაციის შესახებ. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ა., რომელმაც მუხლობრივ გაარკვია გაზეთში ამ საკითხის შესახებ მოთავსებული თეზისები და ფართოთ განმარტა ფლოტის რევოლიუციონური მოღვაწეობა, როგორც 1905-6 წ. წ. ისე სამოქალაქო ომის დროს და აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ჟამად მტკიცე წითელ ფლოტს საბჭოთა ხელისუფლების, როგორც ეკონომიურ ისე პოლიტიკურ კეთილდღეობისათვის. მოხსენების დასასრულს კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება წითელი ფლოტის შესახებ, ჩვენს რევოლიუციონურ მოვალეობათ ვსთვლით აღმოუჩინოთ მას ყოველმხრივი დახმარება, როგორც მატერიალურათ ისე მორალურათ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის უუმნიშვნელოვანეს საფუძველს. მეორე კითხვაზე სამი თებერვლის დემონსტრაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ა. თ., რომელმაც აღნიშნა ამ დემონსტრაციის მნიშვნელობა, რის შესახებაც კრებამ ერთხმად გამოიტანა დადგენილება მიიღონ აქტიური მონაწილეობა რურის ოლქის ოკუპაციის გამო საპროტესტო დემონსტრაციაში.

ვ. ა.

სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე 2 რე ყრილობა

6 იანვარს, დღის 1-ლ საათზე განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მე-2-რე ყრილობა. ყრილობას დაესწრო ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია.

კავშირის ცენტრალურ გამგეობის სახელით ყრილობა გახსნა ამხ. გეგენავამ.

პრეზიდიუმის არჩევნები.

ყრილობის ფრაქციის სახელით ამხ. ქობულიას შეაქვს წინადადება ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნას 11 წევრი და ადგენს ფრაქციის მიერ შემუშავებულ კანდიდატთა სიას. „უპარტიოთა" **ერთი ჯგუფის** სახელით თავის მხრივ სიას ადგენს ერთი დელეგატთაგანი. ხსენებულ სიაში აღნიშნული კანდიდატები, გეგენავა. მეძმარიაშვილი და სხვები უარს აცხადებენ კანდიდატურაზე და მოითხოვენ სიიდან ამოშლას. შემდეგ იმავე „უპარტიოთა" ჯგუფის სახელით ერთი დელეგატთაგანი მოითხოვს ყრილობის შეწყვეტას მოსაფიქრებლად. ყრილობის უმრავლესობამ უარყო ეს წინადადება მას შემდეგ, რაც **დიდი უმრავლესობით** გავიდა კანდიდატთა კომუნისტების სია, მოწინააღმდეგე ჯგუფმა მოხსნა თავისი სია.

პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხანაგები შემდეგი 11 ამხანაგები: გეგენავა, შავერდოვა, შიუკაშვილი, მელიქ-შიხნაზაროვი, ოჩკინი, კაცარავა, ჩხარტიშვილი, კვაჭაძე, კაჭარავა, კიკნაძე, ყურულაშვილი. სამდივნოში—5 ამხანაგი: ჟუმბურიძე, ლევიცკი, ოჩკინი, შახნაზაროვი და კაჭარავა.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ლუნაჩარსკი, კანდელაკი და მარიამ ორახელაშვილი.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა.

ამიერ-კავკასიის ცაკის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. მიხა ცხაკაია, რომელსაც ყრილობა ხვდება ხანგრძლივი ტაშის ცემით. თავის მისასალმებელ სიტყვაში ის ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ეხლანდელ რთულ მომენტში, როდესაც საბჭოთა ფედერაციას გარს არტყია საერთაშორისო იმპერიალიზმი ახალი თაობის აღზრდის და საერთოდ სწავლა-განვითარების საქმეს. უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას, რომ მან თავისი მუშაობა შეუფარდოს საერთაშორისო მდგომარეობას, ხელი შეუწყოს წარმოების განვითარებას, რომელიც წარმოადგენს ულეტეხელ კომუნიზმში გადასასვლელად. სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრებთა ყოველმა მოქალაქემ ანგარიში უნდა გაუწიოს და შეისწავლოს მშრომელთა ქვევითა ფენები და თვისი მუშაობა უნდა აწარმოოს მათდა საკეთილდღეოთ. გაუმარჯოს ისეთ ხალხს, რომლებიც საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესებთან შეფარდებით, რევოლიუციონერებთან ერთად, აწარმოებენ თავის მუშაობას მშრომელი კლასის საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ასეთ ხალხს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვას ყრილობა აჯილდოებს მქუხარე ტაშით.

ყრილობის დღის წესრიგი.

ყრილობამ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო მთლიანად კომფრაქციის მიერ შემუშავებული შემდეგი დღის წესრიგი:

1. საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა.
2. კავშირის ცენტრალურ გამგეობის მოხსენება.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. განათლების კომისარიატის მოხსენება.
5. კავშირის უახლოესი ამოცანები:
   ა) სოციალურ სწავლებისა და აღზრდის ამოცანები.
   ბ) შრომის სკოლის ძირითადი საკითხები მარქსიზმის თვალსაზრისით.
   გ) შრომის პრინციპების საფუძველზე კლასის ცხოვრების ორგანიზაციის გამოცდილება მე 2-რე საცდელ და მაჩვენებელ სკოლაში.
6. მშრომელი ინტელიგენცია და მისი როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.
7. გამგეობის არჩევნები.
8. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობის მისალმებანი.

ამხ. ქობულიას შეაქვს წინადადება ყრილობის სახელით მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს ლუნაჩარსკის, განათლების მუშაკთა ცენტრალურ გამგეობას, ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სრულიად რუსეთის ყრილობას, პროფინტერნს და აზერბეიჯანის განათლების მუშაკთა ყრილობას, რაც ერთხმად იქნა მიღებული ყრილობის მიერ.

მისასალმებელი დეპეშები ყრილობას.

იკითხება ყრილობის პრეზიდიუმის სახელზე მიღებული მისასალმებელი დეპეშები სომხეთის განათლების მუშაკთა კავშირის და ეკატერინენფელდის განათლების მუშაკთა სამაზრო კონფერენციისაგან.

ამით დამთავრდა ყრილობის 6 თებერვლის სხდომა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის სავაჭრო განყოფილების ლიკვიდაციის შემდეგ ამიერ-კავკ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატს გადაეცა ჯერ კიდევ სავსებით შეუსრულებელი ხელშეკრულებანი და საზღვარ-გარეთის სავაჭრო საქმეები, რომელნიც ამ ჟამად უკვე შესრულებულია. ამ.-კავკ. საგარეო ვაჭრობის სახალ. კომისარიატმა დასდო ხელშეკრულება მთელ რიგ ფირმებთან, კერძო პირებთან, სასურსათო სახალხო კომისარიატთან და სხვ. შაქრის ფხვნილის, პარკის, ნავთის და სხვა საქონლის საზღვარ-გარეთ გაგზავნის და საკომისიო რეალიზაციის შესახებ.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაამზადა ნედლი მასალა: ბამბა—5148 ფუთი, ნედლი ბამბა—2556 ფ., აბრეშუმი—65 ფ., პარკი—134 ფ., საქართველოს სასურსათო სახ. კომისარიატისაგან შეძენილია მატყლი—7029 ფ., ფრიზონი 51 ფ.; დამზადებული ნედლი მასალა ნაწილობრივ უკვე გასაღებულია, ნაწილი კი იყიდება რუსეთის და საზღვარ გარეთის ბაზრებზე.

აძლიერებს რა სავაჭრო ურთიერთობას რუსეთის ბაზართან და გზავნის რა მოსკოვში ბამბას, მატყლს, აბრეშუმს, რუსეთიდან მიღებულ მანუფაქტურის ნაცვლად, ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ერთ და იმავე დროს ღებულობს ზომებს ადგილობრივი ნედლი მასალის დასამზადებლად, რომელიც დიდ ინტერესს წარმოადგენს ევროპის ბაზრისათვის, სახელდობრ მზადდება აბრეშუმი, ჯაგარი, ხალიჩები და სხვ. ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მოღვაწეობის პერიოდში დამზადებულია და შეძენილია საქონელი ფართე ბაზრისათვის 650.000 მანეთის ოქრ., აქედან გაყიდულია 350.000 მანეთის ოქრ.

მოწყობილია უშუალო ურთიერთობა შაქრის ტრესტთან შაქრის ოპერაციის საწარმოებლად ფართე მაშტაბით. ეწყობა აგრეთვე ურთიერთობა კოოპერაციასთან, როგორც ნედლი მასალის, ისე საქონლის გაიაფების მიზნით.

სასურსათო თათბირი

პირველი სხდომა

თებერვლის 4-ს ამიერ-კავკასიის სახალხო-სასურსათო კომისარიატთან დაიწყო აზერბეიჯანისა, სომხეთისა, საქართველოსა, აფხაზეთის და ოსეთის პასუხისმგებელ სასურსათო მუშაკთა თათბირი.

თათბირში მონაწილეობას იღებენ:

1. აზერბეიჯანიდან: სასურსათო კომისარის რწმუნებული—ამხ. ბუკრეევი, საორგანიზაციო, საადმინისტრაციო და საფინანსო სამართველოს უფროსის მოადგილე და იურისკონსულტი ამხ. დობროხოტოვი, სასურსათო გადასახადის განყოფილების უფროსი ამხ. დენისოვი და სამაზრო სასურსათო კომისრები: საღიანისა—ამხ. საფაროვი, გოქჩისა—საიდოვი, ყუბისა—ამხ. ატკაშიევი, შუშისა—ამხ. შავგაროვი, ლენქორანისა—ამხ. ბოკოვი, განჯისა—ამხ. ტაგი-ზადე.

2. სომხეთიდან—სასურსათო კომისარის მოადგილე ამხ. პეტროსიანი, სამაზრო-სასურსათო კომისრები: გუმბრისა—ამხ. მელიქ-სარქისიანი და ამხ. მელიქ-შახნაზაროვი.

3. საქართველოდან: სახალხო სასურსათო კომისარის რწმუნებული—ამხ. ერქომაიშვილი, სასურსათო გადასახადის სამართველოს გამგე ამხ. როლკე, მთავარი საგადასახადო ინსპექტორი ამხ. დიდიძე, საკომერციო განყოფილების გამგე ამხ. ჯაფარიძე, მომარაგების განყოფილების გამგე ამხ. ტაბატაძე, საქმეთა მმართველი ამხ. ანზილევიჩი, აბრეშუმის პარკის ოპერაციების რწმუნებული ამხ. დავიდოვი, განმანაწილებელ განყოფილების გამგე ამხ. ნიკოლაიშვილი და სამაზრო სასურსათო კომისრები:

კომუნისტი

ოთხშაბათი, 7 თებერვალი 1923 წ. № 28

ტფილისის მაზრისა—ამხ. ფიალკოვსკი, სიღნაღისა—ამხ. თავდიშვილი, გორისა—ამხ. კალანდაძე, სამაზრო სასურსათო კომისარების მოადგილენი: ტფილისისა—ამხ. იშხნელი და გორისა—ამხ. მკრტჩიანი.

4. აფხაზეთიდან: სასურსათო კომისარის წარმომადგენელი ამხ. კოვალევსკი და 5) სამხრეთ-ოსეთიდან სამაზრო სასურსათო კომისარი ამხ. ფლიევი.

თათბირზე აგრეთვე მონაწილეობას იღებენ: რუსეთის სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე ამხ. მელნიკოვი, ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. გრიშინი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი ამხ. პიჩიკიანი, და „რუსკავტორგის“ დირექტორი-გამგე ამხ. იაკობსონი.

ამხ. ბუნიატ-ზადეს სიტყვა.

თათბირი გახსნა ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარმა ამხ. ბუნიატ-ზადემ, რომელმაც დამსწრეთ შემდეგის სიტყვით მიმართა.

„ამხანაგებო! ადერბეიჯანის, სომხეთის საქართველოსი, აფხაზეთის. აჭარის, ოსეთის და ნახიჩევანის პასუხისმგებელ სასურსათო მუშაკთა დღევანდელი პირველი სასურსათო თათბირის მოწვევის დღე შემთხვევით როდი შეხვდა ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატის მოწყობის დროს. ეს თათბირი მჭიდროდ დაკავშირებულია ამ კომისარიატის მოწყობასთან და მის მომავალ მუშაობასთან.

ამ თათბირის მიზანია: ერთმანეთისთვის გაცნობა იმ რესპუბლიკათა სასურსათო მდგომარეობისა, რომელნიც ამიერ-კავკასიის ფედერაციაში არიან შესულნი, გაცნობა სასურსათო გადასახადის კამპანიის მოწყობის და განხორციელების სისტემისა, რომელიც სხვა და სხვანაირია თვითეულ ამ რესპუბლიკაში, გაცნობა მომარაგების გეგმებისა თვითეულ მათგანში, აზრთა გაზიარება ყველა ამ საკითხის გამო და გამორკვევა და განსაზღვრა მუშაობის ერთიან ხაზისა სასურსათო გადასახადის, მომარაგების, პურის ბაზრის მოწესრიგების და საერთოდ მთელი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სასურსათო საქმეში.

თქვენ იცით, რომ თვითეულ იმ რესპუბლიკაში, რომელიც ამიერ-კავკასიის ფედერაციაშია შესული, საკუთარი მეთოდი ჰქონდათ სასურსათო პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელიც მიმართული იყო განსაკუთრებით ამა თუ იმ რესპუბლიკის ინტერესების სასარგებლოდ, საკუთარ საჭიროების დაკმაყოფილებისაკენ. მაშინ მხედველობაში არ იყო მიღებული მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესები, რომელიც არსებითად დაკავშირებულია საერთო ინტერესთან და იმყოფება ერთგვარს საერთო პირობებში.

შესაძლებელია ეს თუ არა ახლა, როდესაც შექმნილ იქმნა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, როგორც საბჭოთა ერთეული?

იყო შემთხვევები, როდესაც აზერბეიჯანის საზღვრები დაკეტილი იყო სომხეთის და საქართველოს პროლეტარიატისთვის, რომელსაც პური ძალიან უჭირდა და ან პირიქით. იყო მაგალითად შემთხვევები, რომ ზანგეზურის, ქურთისტანის, ყუბათლის და გალადავას მოსახლეობა გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ მეზობელი მაზრები, რომელთაც ზედმეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მოეპოვებოდათ, თავის მაზრის საზღვარს იქით არ უშვებდნენ,

ასეთ არანორმალურს მდგომარეობას ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს; ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი, რომელმაც თავისი უკანასკნელი დემონსტრაციებით დაამტკიცა, რომ ის მზად არის დაეხმაროს დასავლეთ ევროპის მუშებს კაპიტალთან ბრძოლაში, უნდა გაერთიანდეს ყველაფერში, სახელმწიფოებრივ, სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრების ყველა საქმეში.

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატმა უნდა მიაღწიოს და მიაღწევს კიდეც შეკავშირებას სასურსათო მუშაობაში, უნდა იპოვოს და იპოვის კიდეც ერთს, საერთო მთლიან ხაზს სასურსათო პოლიტიკის განსახორციელებლად.

სასურსათო გადასახადის კამპანიის ერთიანი გეგმა, მომარაგების ერთიანი გეგმა, მთელი სასურსათო პოლიტიკის ერთიანი ხაზი,—აი ლოზუნგი, რომელიც უნდა ასულდგმულებდეს ჩვენს სასურსათო თათბირს.

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატზე დაკისრებული მუშაობა მეტად რთული და პასუხისმგებელია: ჩვენ დაკისრებული გვაქვს არა მარტო სასურსათო გადასახადის საქმის მოწყობა და განხორციელება, არა მარტო პურის ბაზრის მოწესრიგება, არა მარტო მთელი ამიერ-კავკასიის სურსათით მომარაგების საქმის მოწესრიგება და უზრუნველყოფა, არამედ ისიც, რომ ყოველგვარი ზომები მივიღოთ და ხელი შევუწყოთ ფულის კურსის განმტკიცებას.

ჩვენი გეგმის განხორციელების ხელისშემშლელ დაბრკოლებათა დაძლევის სურვილმა ერთი ორად უნდა გააძლიეროს ჩვენი ძალა და ენერგია.

მრწამს, რომ ჩვენი საერთო ძალღონით და ყველა იმათი დახმარებით. რომელთაც მუშაობა მოუხდებათ ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატში და მის ადგილობრივ ორგანოებში, ჩვენ შევსძლებთ ყველა დაბრკოლებათა დაძლევას და სასახელოდ შევასრულებთ უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის დავალებებს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შესულ რესპუბლიკათა პასუხისმგებელ სასურსათო მუშაკთა თათბირს გახსნილად ვაცხადებთ“.

თათბირის პრეზიდიუმი:

თათბირის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარი ამხ. ბუნიატ-ზადე, ხოლო მის მოადგილედ სახალხო სასურსათო კომისარის რწმუნებული ამხ. ერქომაიშვილი.

მოხსენებანი.

ამ პირველ სხდომაზე მოსმენილ იქმნა სასურსათო კომისარის რწმუნებულთა მოხსენებანი, რომელიც შეეხებოდა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შესულ რესპუბლიკათა სასურსათო მდგომარეობას, 1922 წლის სასურსათო გადასახადის ძირითადს პრინციპებს თვითეულ რესპუბლიკაში და საგადასახადო კამპანიის მოწყობისა და განხორციელების სისტემას.

მაზრების სასურსათო მდგომარეობის შესახებ მომხსენებლად გამოვიდნენ სამაზრო სასურსათო კომისრები.

შემდეგი სხდომა დაინიშნა იმავ დღისთვის, თებერვლის 4-ს საღამოს 7 საათისთვის.

ქრონიკა

სამოქალაქო გადასახადი.

— **გადაუხდელთა სიები.** სამოქალაქო გადასახადის გამტარებელ კომისიის მიერ სამისამართო მაგიდისადმი გაცემულია განკარგულება, საჩქაროდ წარმოადგინოს სიები იმ სახლების და პირების, რომლებსაც არა აქვთ გადახდილი სამოქალაქო გადასახადი.

— **გადასახადის აკრეფა.** გადასახადის გამტარებელ კომისიის მიერ დადგენილია დაუტოვონ პარტიულ რაიონებს 1—2 ამკრეფი და დანარჩენები გადაიყვანონ საკონტროლო სამუშაოზე. პირველ ყოვლისა იმათ ევალებათ განხილვა გადასახადისაგან განთავისუფლების შემოსულ განცხადებისა.

ზემო-ავჭალის ჰიდრო. სადგური.

— **მუშაობის გეგმა 1928 წლისათვის.** ზემო ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ამგებ სამმართველომ შეადგინა სადგურის აგების სამუშაო გეგმა 1923 წლისათვის და ამ მუშაობის შესასრულებლათ საჭირო თანხის შესახებ. მთელი სამუშევარი დანაწილებულია 4 პერიოდზე: პირველ პერიოდში თებერვლიდან—აპრილამდე საჭიროა 300.000 მან. ოქროთი სამუშაო იარაღების შესაძენათ. (გადასატან-გადმოსატანი რელსის გზები, ვაგონეტკები და სხვა) და შესრულებულ უნდა იქნას განათების და წყალსადენის გაყვანა, მუშაობა არხის დასამთავრებლათ, თხრილის გაყვანა და სხვა. მეორე პერიოდში, მაისიდან ივლისამდე საჭირია 450.000 მან. ოქ. ამ დროის განმავლობაში განზრახულია თხრილის დამთავრება, არხის გასაყვანი მუშაობის გაგრძელება, დამბისათვის მასალების დამზადება. მესამე პერიოდში აგვისტოდან—ოქტომბრამდე საჭიროა 400.000 მან. ოქ. ამ დროს უნდა იქნას გაყვანილი დროებითი შემზღუდავი დამბები, არხისა და თხრილების მუშაობის განგრძობა და მე-4 პერიოდში ნოემბრიდან—დეკემბრამდე მოთხოვნილია 400.000 მან. ოქ. დამბების ასაგებათ, ხელოვნური შენობებისა და არხის მოსაწყობათ. სულ 23 კაცისათვის მოთხოვნილია 1.550.000 მან. ოქროთი.

სხვა და სხვა

— **ახალი დიზელი.** თბილისის ელექტრონის სადგურების გამგეობას ერთ-ერთმა საზღვარ-გარეთის ფირმამ წინადადება მისცა რათა შეიძინოს მისგან ახალი სისტემის დინამო მანქანა „ატლას-დიზელ“, რომელიც არის 120 ცხენის ძალიანი. მანქანა უკვე თბილისშია და დაიდგმება მე-3 ელექტრონის სადგურში.

— **მილიციის დღე.** ქარელის თემში მილიციის დღე ჩატარდა ბრწყინვალეთ. ამ დღეს მოწყობილი იქნა წარმოდგენა მილიციის კულტურულ-განათლების სასარგებლოთ. შემოწირულების სახით შემოვიდა 5 მილიონი ფულათ და 66 ფუთი და 20 გირ. სხვადასხვა სურსათ-სანოვაგე.

— **საზოგადოება „ჩემოს“ ახალი წევრი.** საზოგადოება „ჩემომ“ თავის სრულ-უფლებიან წევრათ მიიღო ახალი ფირმა შემდეგი სახელწოდებით „ევტიხი ჰერეკლოვინ ავგერინო“. ამ ჟამათ „ჩემოს“ საზოგადოებაში ირიცხება 24 ფირმა.

— **კანტორის გამგე.** საზოგადოება „ჩემოს“ ჭიათურის კანტორის გამგეთ დაინიშნა კ. ვ. ჯაფარიძე, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობის ასრულებას.

— **გემების მიმოსვლა ბათომის ნავთსადგურში.** ბათომიდან 31 იანვარს გავიდა მარგანეცით დატვირთული გემი „ასტერი“. 6 თებერვალს გავა მარგანეცით დატვირთული გემი „მარმარა“, რომელიც წაიღებს 2,000 ტონა გარეცხილ მარგანეცს. 16 თებერვალს გავა გემი „ხირონეუს ბოსფორუს“, რომელიც უმთავრესათ წაიღებს გარეცხილ მადანს და სხვა საქონელს.

ფოთიდან 2 თებერვალს გავიდა გემი „დილევერნაკ“, რომელიც გარეცხილ მარგანეცს წაიღებს როტერდამისაკენ, სიმძიმით 5,000 ტონს.

— 24 იანვარს სადგურის მახლობლათ ვნახე საათი და ჩავაბარე ადგილობრივ ადმინისტრაციას. პატრონს შეუძლია მიმართოს ანდრეევის ქ. № 94. ნესტორ ს. აფრიდონიძეს.

ხელოვნება

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს 7 თებერვალს „დუბროვსკი“ მონ. ბოკოვა, სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეცკი და სხ.

— **ქართული მუსიკის საღამო.** ახლო მომავალში ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება ჰმართავს თავის პირველ კონცერტს—ქართული მუსიკის საღამოს. კონცერტზე შესრულებული იქნება ქართული სახალხო მოტივები და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოები. ასეთი კონცერტების გამართვა საზოგადოებას აქვს განზრახული სისტემატიურად.

— **სახალხო სახლი.** პარასკევს 9 თებერვალს შ. დადიანის 30 წლის სამწერლო და სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ გამოვა. საიუბილეო ჟურნალი „სახალხო სახლი“.

დღეს თეატრებში.

სახ. ოპერა—დუბროვსკი. რუსთველის თეატრი—სომხური დრამა. სახალხო სახლი—კარგათ შეკერილი ფრაკი. საბჭოთა თეატრი—სომხური დრამა. პროფკავშირების კლუბი—თვითმოქმედების საღამო კინო მინიონი—ცხოვრების მასკარადი. კინო პალასი—ოცნება და სინამდვილე. კინო-სოლეილ—გახარებული სატანა.

პროვინციაში

მიწათ-მოქმედების მუშაკთა სამაზრო კონფერენცია ქ. თელავში

მიწათ-მოქმედების განყოფილების ინიციატივით, 25 იანვარს გ. წ. მოწვეულ იქნა თელავში მიწათ-მოქმედების მუშაკთა სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ: თითო-თითო წარმომადგენელი სოფლის მიწის კომიტეტებისა, ყველა მიწის მზომლები, აგროდახმარების და თესკომის თანამშრომელნი, სახალხო მამულების და სანერგეების გამგენი თავიანთი სპეციალისტებით, გამოჩენილი სოფლის მეურნენი და იმ განყოფილებათა წარმომადგენელნი, რომელთაც აქვთ კავშირი მიწათ-განყოფილებასთან და საერთოდ სოფლის მეურნეობასთან.

სულ ყრილობას დაესწრო ორას კაცამდე, აქედან მანდატებით 109 კაცი, დანარჩენი სტუმრები—დაინტერესებული პირნი; 85 წევრი იყო გადამწყვეტი ხმით, 29 სათათბირო ხმით.

ყრილობის მიზანი იყო მიწათ-მოქმედებაში მომუშავეთათვის გაშუქება და დახასიათება როგორც წარსული მუშაობისა, მისი ღირსებით და ნაკლით, ისე მომავალი მუშაობის გეგმისა, აგრეთვე დარიგებებისა და ინსტრუქციების მიცემა სოფლის სადგილ-მამულო კომიტეტებისათვის.

კონფერენცია გახსნა დღის 12 საათზე სახელმწიფო თეატრში მისი მომწვევ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ცინცაბაძემ. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი და საპატიო წევრებათ—ამხანაგები: ლენინი, ცხაკაია, მახარაძე და სტურუა. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს: პარტკომის მდივანმა ამხ. კ. სტურუამ, აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ცინცაბაძემ, პროფბიუროს მდივანმა ამხ. რუხაძემ და ახალგაზრ. კომკავშირის—ამხ. ქორიძემ.

პროგრამის და რეგლამენტის მიღების შემდეგ პირველი მოხსენება საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე გააკეთა პოლიტ-განათლების განყოფილების გამგემ ამხ. კიზირიამ.

ყრილობის პროგრამას შეადგენდა: მიწის პოლიტიკის და მოწყობის, სატყეო საკითხები,—სოფლის მეურნეობა და აგროდახმარება..

კონფერენციაზე წაკითხულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი მოხსენებები, რომელნიც იწვევდნენ აუარებელ შეკითხვებს და კამათს. მიწის რეფორმის დარგში: 1) მიწის რეფორმა, მისი პოლიტიკური და ტეხნიკური მხარენი, 2) მიწის მოწყობა წარსული მუშაობა და მომავლის გეგმა; სატყეო საკითხების შესახებ: 1) სატყეო პოლიტიკა, ტყეების მნიშვნელობა, მოხმარება და დაცვა; 2) ტყეების მდგომარეობა მაზრებში; 3) ადგილობრივ სატყეო უწყების მუშაობა. სასოფლო მეურნეობის დარგში: 1) აგროდახმარება, წარსული მუშაობა, მომავლის გეგმა; 2) მორიგი ამოცანები მაზრის სოფლის მეურნეობისა; 3) ფილოქსერის მიერ განადგურებულ ვენახების აღდგენა; 4) „დროა თანდათანობით გადავიდეთ ევროპიულ წესით ღვინის დაყენებაზე“ და 5) მუშა საქონლის ჯიშის გაუმჯობესება. მოხსენებები წაკითხულ იყო თავთავიანთ დარგის სპეციალისტების მიერ.

მიწის საკითხის გარშემო კამათის დროს ყრილობაზე შემოვიდა სრულიად საქართ. ალმ. კომიტეტის მესამე სესიიდან დაბრუნებული ამხანაგი ქურციკაშვილი, რომელსაც ეთხოვა მოხსენების გაკეთება ც. ა. კ. სესიის დადგენილების შესახებ მიწის საკითხში. ამხ. ქურციკაშვილის მოხსენებამ აღფრთოვანებაში მოიყვანა ყრილობა, რომელმაც ხელათ დაავალა პრეზიდიუმს შემდეგი დეპეშის გაგზავნა: „სრულიად საქართველოს ალმასკომს, კომპარტიის ცეკას და მიწათ-მოქმედების კომისარს. თელავის სამაზრო მეორე ყრილობა მიწის კომიტეტების და აგროდახმარებისა მოგესალმებათ თქვენ ყრილობა. მიზნათ ისახავს 15 მარტამდე დაუყოვნებლივ გაატაროს ცხოვრებაში მიწის დეკრეტი № 17 და ზედმიწევნით დაიცვას მშრომელ გლეხკაცობის ინტერესები“.

გამოტანილ რეზოლიუციებში აღსანიშნავია მიწის საკითხის შესახებ: პირველი, რომელიც ამბობს ყოველგვარ ზომების მიღებაზე, რათა მომავალ გაზაფხულის ხვნა-თესვის დროისთვის გატარებულ იქნას მიწის დეკრეტი № 17 და დაკმაყოფილებული უმიწაწყლო და მცირე მისი მქონე სოფლის მუშები. მეორე, რომელიც ამბობს მჭიდრო კავშირის დაჭერაზე სოფლის კომიტეტების მიერ მიწათ-განყოფილებასთან და აგრეთვე თემის ალმასკომთან, რათა ბოლო მოეღოს ზოგიერთ გაუგებრობებს და უნაყოფო მუშაობას კომიტეტებისას.

რეზოლიუცია სატყეო საკითხის შესახებ ამბობს: „ყრილობა ადასტურებს, რომ ადმინისტრაცია ყოველნაირ ზომებს იღებს ტყის მეურნეობის განმტკიცებისა და აყვავებისათვის და თუ მაინც ზოგიერთ ალაგას სატყეო წესდება ირღვევა, ეს აიხსნება ხალხის ნაწილის შეუგნებლობით და მოუმზადებლობით, აგრეთვე ნაკლებ რიცხვიანობით ტყის მცველებისა. საჭიროა ხდებოდეს აგიტაცია ტყეების მნიშვნელობაზე, აგრეთვე საჭიროა ტყის მცველების რიცხვის გადიდება, ამათი დაქვემდებარება ადგილობრივ ალმასკომის კონტროლისადმი. ამასთანავე სოფლის ალმასკომებმა ხელი უნდა შეუწყონ ტყის მცველთა ზნეობრივ განსპეტაკებას და მათ გაწმენდას. ყრილობა ავალებს ალმასკომს პროფბიუროსთან ერთად გასწმინდოს ტყისმცველთა რიგები ცუდი და ზანტი პირების განდევნით და ტყის გამგეს:—გამოაკრას ყველა თემებში ნიხრი ტყეებისა და განმარტება მისცეს—ვის, როდის და როგორ რამდენი მასალა ეძლევა.

გარდა ამისა მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუციები: ეთხოვოს მთავრობას, რომ თელავის მაზრაში გაიხსნას ერთი სამეურნეო ტეხნიკუმი და მეორე დაბალი სასწავლებელი.

ყრილობას თხოვს სამაზრო ალმასკომს მოაწყოს მაზრაში მოკლე ვადიანი კურსები სოფლის მეურნეობის დარგში მშრომელ ხალხის მოსამზადებლად და განსავითარებლად.

სთხოვს კოოპერაციის ხელმძღვანელებს მაზრაში დაარსონ სამეურნეო კოოპერატივები, როგორც სამეურნეო იარაღების და საგნების შესაძენად, ისევე სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გასასაღებლად.

ავალებს მიწათ-განყოფილებას, რომ მიიღოს ყოველგვარი ზომები ნამდვილ მშრომელთა არტელების და კომუნების დასაარსებლად და გასამრავლებლად, ვინაიდან მიწის წესიერ დამუშავებაში მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ.

სეტყვის და სხვა სტიქიურ მოვლენების წინააღმდეგ შემოღებულ იქნას დაზღვევა და ეთხოვოს მთავრობას რათა დაარსებულ იქნას კახეთში დამზღვევი ბანკი.

შემდეგ სხვა რეზოლიუციებში ნათქვამია ჭაობების გაშრობაზე, არხების გაყვანაზე თვითონ მშრომელ ხალხის საშუალებით და ალმასკომის ხელმძღვანელობით, მუშა-საქონლის ჯიშის გაუმჯობესებაზე, კულტურულად მიწის დამუშავებაზე, აგროდახმარების თანამშრომელთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და სხვა.

კონფერენცია დაიხურა 26 იანვარს.

საჭიროა ამნაირ ყრილობების მოწვევა სხვა დარგებშიაც. უსურვებთ დადგენილებების სისრულეში მოყვანას.

სტუმარი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 74.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

ტყის სარგებლობისა და ტყეების გაჩეხის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ადგენს:

1. საქართველოს ტყეების ყოველგვარი სარგებლობა შეიძლება ბარათებით, რომელსაც გასცემს ადგილობრივი სატყეო ადმინისტრაცია.

2. ტყის დაცვისა და მოვლის საქმეში ჩარეულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობა—საამისოდ განსაკუთრებული არჩეული პირების სახით.

3. ტყის უკანონოდ სარგებლობისათვის დამნაშავე პირი პასუხს აგებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხ. მიხედვით.

4. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ტყის დაცვისა და მოვლის საქმეში ადგილობრივი მოსახლეობის ჩარევის წესის შესახებ (მუხ. 2).

5. მოეხსნათ ფულადი ან სხვა რამ გადასახადი, ადმინისტრატიული ან სასამართლოს წესით დადებული ტყის გაჩეხისათვის, უკეთუ ეს ჩადენილია ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე,—იმ პირთ, რომელთაც ეს გაჩეხა ჩაუდენიათ სათეს-სახნავის სივრცის გასადიდებლად ან თავისი პირადი ოჯახობრივი საჭიროებისათვის.

6. ყველა ამგვარი საქმე, რომლის წარმოებაც ჯერ დამთავრებული არ არის ადმინისტრატიულ ან სასამართლოს დაწესებულებაში,—მოსპობილ იქნეს.

შენიშვნა: ამა დადგენილების მე-5 და 6 მუხლის მოქმედება არა ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც გაჩეხა ვაჭრობის მიზნით ჩაუდენიათ.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარი სტურუა.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 31.
ტფილისი—სასახლე.

—

დადგენილება № 75,

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. უცხოელთა თაობაზე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 64 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-16 მუხლის შეცვლის შესახებ.

ქალ. ჭიათურაში ბინების კრიზისის გამო, რაც ზესტაფონიდან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ჭიათურაში გადატანას შეუძლებლად ხდის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლ. აგვისტოს 8-ს თარიღითა და 64 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-16 მუხ. შესაცვლელად ადგენს:

1. შემჭიდროვებულ იქნეს ჭიათურაში მცხოვრებ უცხოელთა ბინები იმ საბინაო ნორმის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლ. ივნისის 16-ს თარიღითა და მე-9 №-ით გამოცემული დეკრეტით—საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი,

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 31.
ტფილისი—სასახლე.

—

დადგენილება № 82.

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1 თებერვალი 1923 წ.

სატარიფო ზოლების შესახებ.

ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. 23 იანვრის „შრომის ხელფასის მინიმუმის“ შესახებ გამოქვეყნებულ დადგენილების № 1-ის აღსასრულებლად, ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესდეს განაკვეთთა შემდეგი ზოლები: საქართველოში—პირველ ზოლს მიეკუთვნოს ქ. ტფილისი (ავჭალითურთ), ქ. ბათომი, ქ. ფოთი, ქ. ტყიბული (მაღაროთა ტერიტორია), ჭიათურა (სამრეწველო რაიონი).

მეორე ზოლს მიეკუთვნოს: ქ. სოხუმი, ქ. ქუთაისი, ქ. ბორჯომი, სვანეთი, რაჭა და ლეჩხუმის მაზრები.

მესამე ზოლს მიეკუთვნოს: დანარჩენი ტერიტორია საქართველოსი.

სომხეთში: პირველ ზოლს მიეკუთვნოს: ერევანი, ალექსანდროპოლი, და მანესი;

მე-2-ე ზოლს მიეკუთვნოს დანარჩენი ტერიტორია სომხეთისა.

2. ადერბეიჯანში ზოლების დაწესება და მისი გამოქვეყნება დაევალოს ა. კ. შრ. სახ. კომ. რწმუნებულს ადერბეიჯანში.

ა. კ. შრომის სახალხო კომისარი იაკუბოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს, 7 იანვარს, საღამოს 7 საათზე „სკოლის გარეშე სწავლების სახლი“-ს შენობაში შესდგება სკოლის გარეშე მომუშავეთა წრის კრება. ხელმძღვანელია ამხ. პენაკოვი.

— ოთხშაბათს, 7 თებერვალს და შაბათს 10 თებერვალს საღამოს 6 საათზე შესდგება მბეჭდავთა წრის კრება. ხელმძღვანელია ამხ. მედვედევი.

— შაბათს, 10 თებერვალს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლის შენობაში შესდგება სტუდენტთა წრის კრება. ხელმძღვანელია ამხ. ნოვიკოვი.

საქართველოს კ. პ. თბ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ც. კ. საქ. კ. პ. წინადადებას აძლევს ა. ესსენის მარქსისტულ წრის ყველა მსმენელებს, რომელთაც აქვთ სურვილი განაგრძონ მეცადინეობა, გამოცხადნენ ც. კ. საქ. კ. პ. სააგიტაციო განყოფილებაში რომელიმე მარქსისტულ წრეში.

— მე-4-ე სარაიონო კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს პოლიტ. წრეების ყველა მასახლისებს—გამოცხადდნენ სარაიონო კომიტეტში 3 დღის განმავლობაში.

შეცდომის გასწორება. მეოთხე რაიკომის განცხადების ტექსტში კომიაჩეიკების მდივნების გამოცხადების შესახებ შეპარულია შემდეგი შეცდომა: „იაჩეიკების მდივნები უნდა გამოცხადდნენ არა ყოველდღიურად, არამედ ერთჯერ, დაწყებული 6 თებერვლიდან ერთი კვირის ვადაში.

განცხადებები

სახელმწიფო ოპერა
ოთხშაბათს 7 თებერვალს
დუბროვსკი
კრ. 152—1—1

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი ვ. გ. მეუნარგიასი
მიიღებიან ბავშვები ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.
ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინსკის ქ. № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—6)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. ექიმობა სიფილისის ნერვიულ გართულებათა.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—25—6)

სასურსათო კომისარიატის
საფეიქრო
ქარხანა
(ვორონცოვის ქ. № 50 ორთაჭალა)
იღებს შეღავათიან ფასებში შალეულს მოსათელავათ, დასაწმენდათ და შესაღებავათ წმინდა ქიმიური საღებავებით.
აგრეთვე ღებავს, როგორც ბამბის ისე აბრეშუმის ნაქსოვებს და ნართავს.
იქვე იყიდება ქარხნის ნაწარმოები: მაუდი სხვა და სხვა ფერების, სარფინკები, ოკსფორდი, შოტლანდკა და სხვა.
(კრ. 147—2—2)

ბაკურიანის რკ. გზაზე
მატარებელთა მიმოსვლის
შემცირება
მცხოვრებთა რაოდენობის სიმცირის გამო სამგზავრო და საფოსტო მატარებელთა № 3 და 4 ყოველდღიური მიმოსვლა ბაკურიანის ხაზზე ზედმეტია, და ამიტომ 5 თებერვლიდან ეს მატარებლები ივლიან კვირაში ორჯერ შესაბამად მომქმედ ცხრილის მიხედვით. მატარებელი № 3 გავა ბორჯომიდან ოთხშაბათობით და კვირაობით. მატარებელი № 4 გამოვა ბაკურიანიდან ბორჯომში იმავე დღეებში, ამისდა მიხედვით საბარგო მატარებელს № 852,853 მიემატება თითო საკლასო ვაგონი ბაკურიან-ბორჯომს შორის ყოველ დღე, სამგზავრო ბილეთების გაყიდვით.
კრ. 151—2—2

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი
ჰყიდის,
ხუთ-ალაგიან ცოტათი ნახმარს
ავტომობილს
„ფორდის“ სისტემის. ცნობების მიღება შეიძლება მთავარ კომიტეტში (ბარიატინის ქუჩა № 5).
საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.
(კრ. 141—3—3)

საქართველოს ტეხნიკური სააღმშენებლო ბიურო
სატსამბო
მთავარი სამმართველო: თფილისი, თავისუფლების მოედანი № 8 ტელ. 3—26 დეპეშის მისამართი—თფილისი, „სატსამბო“, განყოფილებანი: ბერლინში, ბუხარაში, ახალ-სენაკში.
ყველაფერი
ელექტროფიკაციისათვის
ელექტრონის დანადგარები, ტეხნიკური მოწყობილებანი, ჰიდრავლიური სამუშაოები.
საწყობებში მუდმივად არის ყოველგვარი ელექტრ. და ტეხნიკურ მასალების დიდი რაოდენობა.
კრ. 682—0—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 219 ქუთაისიდან თფილისამდე მოგზაურობის დროს ჩაითვალოს გაუქმებულად. სერგო გრიგორის-ძე ხაჩატუროვი. 99—1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 5763. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ნატროშვილი. 100—1—1

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.